ეკო

№ 11

შინაარსი:

გულ-წითელა, სელმა ლაგერლეფისა. თარგმ. სასარგებლო გართობა—**შინაურისა**; ნუ მოშაგონებ! ლექსი—**ი. გრიშაშვილისა**; ზეინაბის გასამართლება—**გ. რობაქიძის** სიტყვა; შანტეკლერი ე. როსტანისა. თარგმ.—**გ. გვაზავასი**; ადსდგ! ლექსი—**ს. ფაშალიშვილისა**; ნუტალხანი—**ივ. ბუქურაულისა**.

კვირა, 18 აპრილი საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

გულ-წითელა

არაკი ქრისტეს შესახებ.

ქ-ნ სელმა ლაგერლეფისა

(თარგმანი)

—:—

ეს მაშინ იყო, როდესაც უფალი აჩენდა მარტო ცასა და დედა-მიწას-კი არა, არამედ პირუტყვებსა და მცენარეებსაც, რომელთაც მაშინვე არქმევდა თავთავის სახელს.

ბევრი თქმულება დარჩა იმ დროის; და ყველა რომ ცნობილი გახდეს, მაშინ ყოველივე, რაც-კი გაუგებარია ქვეყანაზედ, ცხადი გახდებოდა.

აი ერთხელ უფალი იჯდა სამოთხეში და ღებავდა ფრინველებს, არ ეყო წამალი, ასე რომ ნარჩიტა თითქმის შეუღებავი დარჩებოდა, რომ გამჩენს ყველა საღებავის წასასმელები მაზედ არ გაეხოცა.

ვირსაც სწორედ მაშინ ერგო მისი გრძელი ყურები, რადგანაც ვერაფერის გზით ვერ დაენახსოვრებია დარქმეული სახელი. გადაადგავდა თუ არა რამდენიმე ნაბიჯს, ავიწყდებოდა იგი და სამჯერ უკანვე ბრუნდებოდა და ჰკითხულობდა, რა იყო მისი სახელი? მაშინ ჩვენმა უფალმა ცოტა მოთბინებაც-კი დაჰკარგა, წაავლო ყურებში ხელი და უთხრა:

— შენი სახელია — ვირი, ვირი, ვირი.

და თანაც ამის თქმაზედ, ყურებში ეწეოდა, სანამ კარგად არ ჩაესმა ხმა და არ დაინახსოვრა თავისი სახელი.

იმავე დღეს უფალმა ფუტკარი დასაჯა. გაჩენისათანავე, ფუტკარი თაფლის შეგროვებას შეუდგა, ხოლო პირუტყვნი და ადამიანნი, თაფლის სასიამოვნო სუნზეო, მიდიოდნენ საგემებლად. მაგრამ ფუტკარს მარტო თავისთვის უნდოდა ყველაფრის შენახვა და იგი ყველას ჰკბენდა, ვინც-კი თაფლის ფიჭას მიუახლოვდებოდა. დაინახა თუ არა უფალმა ეს, მიიხმო ფუტკარი და დასაჯა იგი.

— მოგეცი ნიჭი თაფლის შეგროვების—უთხრა მას უფალმა, — მაგრამ იმისი ნება კი არ მომიცია შენთვის, რომ შეუბრალებელი იყვე შენი მოყვასისადმი. მაშ დაინახსოვრე, — იცოდე მოკვდები, თუ უკბინე ვისმე, ვინც მოინდომებს შენი თაფლი გახინჯვას!..

სწორედ მაშინ იყო, რომ ჭიჭინა დაბრმავდა, და ჭიანჭველამაც ფრთები დაჰკარგა; იმ დღეს ბევრი რამ სასწაული მოხდა.

უფალი, დიდებული და მშვიდი, მთელ დღეს სამოთხეში დარჩა, იგი აჩენდა, სასიცოცხლოდ აღვიძებდა; და საღამოს ერთი პატარა რუხი ჩიტის გაჩენა მოაგონდა.

— გახსოვდეს, რომ შენ გულწითელა გქვია! — უთხრა უფალმა ჩიტს. დაისვა იგი ხელის გულზედ და იგიც გაფრინდა.

ჩიტმა ვარეშემო შემოიფრინა, დედა-მიწა გაიცნო, რომელზედაც გარდაწყვეტილი ჰქონდა მას ცხოვრება, და შემდეგ თავის თავის დათვალიერებაც მოინდომა. მაშინ დაინახა, რომ მთლად რუხი ანუ ნაცრის ფერი იყო და გულიც-კი ნაცრის-ფერი ჰქონდა. გულწითელა ტრიალებდა და ყოველის მხრით უკვირდებოდა თავის თავს წყალში გამოსახულს, მაგრამ ვერცერთ წითელ ფთას ვერ ხედავდა თავის ტანზედ. მაშინ უკანვე მიფრინდა უფალთან. უფალი იჯდა მოწყალე და მშვიდი, მისი ხელებიდან ბეღურები გამოდიოდნენ და თავს დასტრიალებდნენ, მტრედები მხრებზედ დაჰლუღუნებდნენ და მის ფერხთა გარეშემო ვარდი, შროშანი და სხვადა-სხვა ყვავილი ჰყვაოდა.

პატარა ჩიტის გული შიშით თრთოდა, მაგრამ მაინც მიფრინდა უფალთან უფრო ახლოს, უფრო ახლოს და ბოლოს, მის ხელზედ დაეშვა.

მაშინ უფალი შეეკითხა დაბრუნების მიზეზს.

— ერთი რამე უნდა მეკითხა შენთვის, — მიუგო ჩიტმა.

— რა უნდა გეკითხა? — უპასუხა უფალმა.

— ნეტავი რატომ მქვია გულწითელა, როდესაც მთლად ნაცრისფერი ვარ ნისკარტიდგან მოკიდებული კუდის ბოლომდე? გულწითელა რატომ მქვია, როდესაც არც ერთი წითელი ბუმბული არ გამაჩნია?

ჩიტმა მუდარით შეხედა უფალს თავის პატარა შავი თვალებით და მიიბრუნა თავი. გარეშემო ხედავდა ხეხბებს, წითლებს, ვარაყის წინწკლებით დაფარულთ, თუთიყუშებს, ბრწყინვალე წითელ-ფრთებიანის კისრით, წითელ ბიბილიან მამლებს, რომ ოქროსფერ თევზებზედ და ვარდებზედ არაფერი ვსთქვათ. და, რასაკვირველია, აზრად მოუვიდა, რომ გულზედ პატარა წითელი ხალიც-კი საკმარისი იყო, მშვენიერი ჩიტი იქნებოდა და თავისი სახელიც მას ღირსეულად ექნებოდა დამსახურებული.

— რად მეძახიან გულწითელას, როდესაც მთლად ნაცრისფერი ვარ?—კიდევ იმეორებდა იგი და ელოდა, რას ეტყოდა მას უფალი:

— „უჰ, ჩემო კარგო, სრულებით დამავიწყდა წითლად შემეღება შენს მკერდზედ ფრთები. მოიცა, ეხლავე გავასწორებ ამას“.

მაგრამ უფალმა გაიღიმა და მითხრა:

— გულწითელა გიწოდე და დაგერქმევა კიდეც ეს სახელი. მაგრამ შენ თვითონ უნდა დაიმსახურო მკერდზედ წითელი ფრთები.

ამ სიტყვებით მან ასწია ხელს და ხელახლად გააფრინა ჩიტი. დაფიქრებულმა ჩიტმა იწყო ფრენა სამოთხეში. რა უნდა ჰქნას ასეთმა პატარა ჩიტმა წითელი ფრთების მოსაპოებლად?

ერთი რამ მოუვადა აზრად, — ასკილის ჯაგში ბუდის გაკეთება. თითქოს, იმას ელოდა, რომ ყვავილების ფოთლები მკერდზედ დაეცემოდნენ და მას თავის ფერს გარდასცემდნენ.

* *
*

აურაცხელმა წელიწადმა გაიარა ამ უბედნიერეს დღის შემდეგ. დიდი ხანია პირუტყვებსაც და ადამიანებსაც მიეტოვებინათ სამოთხე და მთელ დედამიწას მოსდებოდნენ. ადამიანთ ესწავლათ მიწის დამუშავება და ზღვაზედ ცურვა, ტანსაცმელისა და სადგომის გაკეთება, შესანიშნავ ტაძრებისა და ძლიერ ქალაქების აგება, როგორც მაგალ. თები, რომი და იერუსალიმი.

და ხელახლად გათენდა დღე, რომელიც დიდ ხანს სანახსოვროდ დარჩება კაცობრიობის მატიანეში. ამ დღეს, დილით გულწითელა იჯდა დაბალ, მოტიტვლებულ ბორცვზედ იერუსალიმის კედლებთან და ბუდეში მყოფ თავის ბარტყებს უგალობდა.

გულწითელა უამბობდა თავის ბარტყებს შექმნის სასწაულებრივ დღის ამბავს, და როგორ არქმევდა უფალი ყველას სახელებს. ამ ამბავს თვითეული გულწითელა თავის ბარტყებს მოუთხრობდა იმ პირველ ჩიტისგან დაწყებული, რომელსაც თვითონ მოესმინა ღვთის სიტყვა და რომელიც გამოფრენიმის ხელებიდგან.

— და დახეთ, მწუხარედ წარმოსთქვა მან, მას შემდეგ ამდენმა წელიწადმა გაიარა, ამდენი ვარდი დასჭკნა, კვერცხებიდგან ამდენი ბარტყი გამოიჩეკა, რომ მათი დათვლაც კი არავის შეუძლია, გულწითელა-კი ისევ პატარა, ნაცრის-ფერ ჩიტად რჩება, იგი ჯერაც ვერ ახერხებს წითელი ბუმბულის შეძენას.

პატარეებმა განივრად გააღეს ნისკარტი და ჰკითხეს, სცდილობდნენ თუ არა მათი წინაპარნი დიდებულ რისმე ჩადენას, რომ მოეპოებიათ ეს დაუფასებელი წითელი ფრთები.

ყველამ მოვიმოქმედეთ, რაც-კი შეგვეძლო,— მიუგო ჩიტმა, — მაგრამ ვერც ერთმა ჩვენგანმა საწადელს ვერ მივაღწიეთ. პირველი გულწითელა შეხვდა ერთეელ მეორე თავის მსგავსს ჩიტს და ისე ძალიან შეუყვარდა იგი, რომ გული ვნებით უღელავდა. „აი, იფიქრა მან,—ეხლა-კი მესმის: უფალს ჰსურს, რომ ძალიან, ძალიან მიყვარდეს და მაშინ ჩემს მკერდზედ ფრთები შეიღებება იმ ცეცხლით, რომელიც ჩემს გულში ანთია“. მაგრამ იგი ვერას გახდა, როგორც ჩვენ ყველანი ვერას გავხდით და როგორც ვერც თქვენ გახდებით რასმე.

ბარტყები მწუხარედ ჭყიოდნენ, და დაიწყეს კიდეც იმის დარდი, რომ მათ პატარა ბუმბულიან კისრებზედ წითელი ფრთები აღარ ექნებოდათ.

— ჩვენ გალობის იმედიც-კი გვქონდა,—განაგრძო საუბარი ხნიერმა ჩიტუნამ.— პირველი გულწითელა ისე ჰგალობდა, რომ მისი გული აღმაფრენით ჰთრთოდა, და თანაც ჰფიქრობდა იგი: „ეს სიცხოველე, რომლითაც მე ვჰგალობ და რომელიც ჩემს სულშია, ჩემს ფრთებს უთუოდ წითლად შეღებავსო“. მაგრამ იგი შესცდა ისე, როგორც ჩვენ ყველანი ვსცდებოდით და როგორც თქვენც შესცდებით.

პატარების ნახევრად ტიტველ ყელიდგან საბრალო ჭყივილი აღმოჰხდა.

— ჩვენ კიდევ ჩვენი გულადობისა და გამბედაობის იმედი გვქონდა, — განაგრძო ხნიერმა ჩიტმა, — პირველი გულწითელა უკვე მამაცად ებრძოდა სხვა ფრინველებს და მისი გული ცეცხლით იწოდა. „აი, ომის ალმურისაგან, რომელიც გულში მინთია, ჩემი ფრთები წითლად შეიღებებიანო“ — იფიქრა მან. მაგრამ იგი დიდათ სცდებოდა, ისე როგორც ჩვენ ყველანი, და ისე, როგორც თქვენ ყველანი შესცდებით.

პატარეები მამაცად სჭყიოდენ, რომ იგინიც ეცდებიან აღთქმულის განხორციელებას, მაგრამ ხნიერი ჩიტი მწუხარედ უპასუხებდა, რომ ეს შეუძლებელიაო. რისი იმედი უნდა გქონდესთ, როდესაც ამდენი გამოჩენილი წინაპარი ვერას გამხდარაო?

483

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რაღა შეუძლიათ იმაზედ მეტი, რომ შეიყვარონ, იგალობონ და იომონ? რა შეუძლიათ?...

ჩიტმა ვერ დაამთავრა თავისი სათქმელი, რადგანაც იერუსალიმის კარებიდგან გამოვიდა ხალხის ბრბო და გამოემართა იმ ბორცვისაკენ, სადაც მისი ბუდე იყო. აქ იყვნენ მხედარნი ამაყ ცხენებზედ შემსხდარნი, შუბიანი ჯარის-კაცნი, ჯალათნი ლურსმებითა და ჩაქუჩებით, აქ დიდებულად მოდიოდნენ მღვდელნი და მსაჯულნი, მოდიოდნენ მტირალი დედაკაცები, ხოლო ყველას-კი წინ მოუძღოდა ჩამოხეულ მაწანწალათა მყვირალი ბრბო.

პატარა ნაცრისფერი ჩიტი აკანკალებული იჯდა ბუდის პირად. იგი ჰშიშობდა, რომ გადასთელავდნენ ასკილს და მის პატარა ბარტყებსაც მოჰკლავდნენ.

— იცოდეთ, — უთხრა მათ, — კარგად მიეკარით ერთი მეორეს და არ გაინძრეთ! აგერ ცხენი პირდაპირ ჩვენსკენ მოდის! აგერ ჯარის-კაცი მოდის, ფეხსაცმელი რკინით აქვს ამოჭედილი! ჩვენსკენ მოდის მთელი ბრბო! — ჩიტი უცებ დადუმდა და მიიყუჟა. თითქმის მოსალოდნელი განსაცდელიც-კი დაავიწყდა მას.

უცებ ბუდეში ჩავარდა და გადააფარა ბარტყებს ფრთები. — არა, ეს მეტად საზარელი რამ არის, — წარმოსთქვა მან, — არ მინდა, რომ ეს დაინახოთ, — სამი ავაზაკი მიჰყავთ ჯვარზედ ასაკრავად.

და შეშფოთებით შლიდა ფრთებს, რომ ბარტყებს ვერაფერი დაენახათ. იმათ ესმოდათ მხოლოდ ჩაქუჩის მძლავრი ცემა, მწუხარების ოხვრა და ხალხის ველური ღრიალი. გულწითელა თვალს არ აშორებდა ყოველივეს, რაც-კი ჰხდებოდა. შიშისაგან გაშტერებული თვალები ვერ აეშორებინა სამი უბედურისათვის.

— რა შეუბრალებელი არიან ადამიანები! — ჰფიქრობდა ჩიტი. — ის აღარ იკმარეს, რომ ეს სამი საბრალო ჯვარს მიალურსმეს, არა, ერთ მათგანს თავზედ ეკლის გვირგვინიც-კი წამოაცვეს. ვხედავ კიდეც, ეკალი როგორ უკაწრავს შუბლს და სისხლს ადენს. ეს კაცი-კი ისეთი მშვენიერია, მისი გამოხედვა ისეთი მშვიდია, რომ არ შეიძლება, იგი ადამიანს არ შეუყვარდეს. რომ ვხედავ, როგორ იტანჯება, ასე მგონია, თითქოს გულში მჭრელი ისარი მესობოდეს.

ჩიტი თანდათან უფრო და უფრო მეტად ჰგრძნობდა ეკლის გვირგვინიან ჯვარცმულისადმი სიბრალულს.

— ჩემ ძმად, არწივად რომ ვყოფილიყავი, — ჰფიქრობდა იგი, — ხელებიდგან ამოვაცლიდი ლურსმებს და მძლავრის ბრჭყალებით გავჰფანტავდი მის მწვალებლებს.

იგი ჰხედავდა, სისხლის წვეთები როგორ სდიოდა ჯვარცმულის შუბლს, და ვეღარ შესძლო ბუდეში დარჩენა.

— თუმცა პატარაცა ვარ და სუსტიც, მაგრამ მაინც რამე უნდა გავუროგო უბედურ მოწამეს, — იფიქრა ჩიტმა. ამოხტა ბუდიდგან და ფრენა-დაიწყო მაღლა ცაში, თანაც ჯვარცმულის თავის ზემოდ განიერ წრეს უვლიდა.

დიდხანს იფრინა გარეშემო და ვერ ჰბედავდა ახლოს მიფრენას, რადგანაც იგი პატარა იყო, მშიშარა ჩიტუნია, რომელიც არასოდეს არ მიახლოვებოდა ადამიანს. მაგრამ თან-და-თან გამამაცდა, სულ ახლოს მიფრინდა და ნისკარტით ამოაძრო ერთ-ერთი ეკალი, რომელიც ჯვარცმულის შუბლს შესობოდა. ამ დროს ჩიტის ყელს მოხდა ამ უბედურის წვეთი სისხლი. ამ წვეთმა უცებ მოიარა და შეუღება ჩიტს კისერზედ და მკერდზედ პატარა ნაზი ბუმბული.

როდესაც ჩიტი ისევ ბუდეს მიუბრუნდა, ბარტყებმა მიაძახეს:

— მკერდზედ წითელი ფრთები გაქვს? ვარდზედ უფრო წითელია!

— ეს მხოლოდ წვეთი სისხლია იმ საბრალო კაცის შუბლიდგან, — მიუგო ჩიტმა. — წყალში რომ ტანს გავიბან, გაჰქრება.

მაგრამ რამდენიც არ იბანა ტანი პატარა ჩიტუნამ, წითელი ნიშანი მაინც არ გაჰქრა, და როდესაც ბარტყებიც წამოიზარდნენ, მათი კისერი და მკერდიც ალის ფერ წითლად იყო შეღებილი, და ასე მომდინარეობს ეს ჩვენ დროამდე.

ღ.

სასარგებლო გართობა.

—:—

ფრანგებს ერთი დიდებული მწერალი ჰყავდათ. დიდებული მწერალი ერთი კი არა, — ბევრიც ჰყავდათ, მაგრამ მე აქ მარტო ერთზე მოგახსენებთ. ეს იყო იპოლიტ ტენი, რომელსაც სადღაც თავის ნაწერებში ერთი ფრიად გონივრული და საგულისხმიერო აფორიზმი აქვს გამოთქმული. „ისე სახიფათო არა არის რა, როგორც დიდი აზრი პატარა ტვინის პატრონ ადამიანის გოგრაშიო“, — ამბობს იგი.

ტენი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო და ჩვენი ცხოვრება სცოდნოდა, ამ თავის აფორიზმის სიმართლეს მარტოოდენ „ქართული“ მასალითაც საკმაოდ დაამტკიცებდა და ჩვენც გესლიან იუმორს არ მოგვაკლებდა.

საბუთიც ექნებოდა. ევროპაში, მგონი, არ დარჩენილა არც ერთი „მოწინავე აზრი“ და „თეორია“, რომელიც ჩვენ ამ ბოლო ხანებში არ „შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეთვისებინოს“, მაგრამ ეს შეთვისება გამოდგა რაღაც უცნაური, რაღაც თავისებური და ბევრის მხრით „სახიფათო“ სწორედ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც ტენი დიდ აზრს სახიფათოდ სთვლის... პატარა ჭკუის ადამიანისთვის.

მაგალითად, ბევრ სხვა და სხვა მეცნიერულ თეორიებს შორის, ჩვენ გავიგეთ და „შევითვისეთ“ ევოლუციონური თეორიაც და ამის საშუალებით სულ „მარტივად“ ავხსენით და განვსაჯეთ ჩვენი ცხოვრების ყოველი ფაქტი და მოვლენა. ეს თეორია, როგორც იცით, ამტკიცებს და განმარტავს პროგრესის არსებობას, კაცობრიობის მუდმივ განვითარებასა და წინმსვლელობას. და, აი, ჩვენ ეს სადღაც და როგორღაც გავიგონეთ და ამით საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნა-დაფასებაც ხელად ვისწავლეთ. თურმე ქვეყნად „პროგრესი“ და „განვითარება“ ყოფილა, და რაც დრო მიდის, მით უფრო საზოგადოება წინ მიდის, — ვითარდება. ეს არ იცოდნენ ჩვენმა მამა-პაპებმა, — ასეთი უვიცები იყვნენ ის საცოდავები. დღესაც არ იციან ეს ჩვენმა „რეაქციონერებმა“, ე. ი. ნაციონალისტებმა, რადგან მათს გონებრივს წყვდიადში მეცნიერების სხივს ჯერ კიდევ არ ჩაუღწევია. იმათ არც კი სმენიათ მეცნიერების ეს უკანასკნელი („ახალი“) სიტყვა, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი და წუთიც კი პროგრესისა და, მაშასადამე, უმჯობესობის მომტანი არის. ამიტომ ცხადია, რომ ყველაფერი „ძველი“ დასაგმობი არის, ხოლო ყველაფერი „ახალი“, ვითარცა „პროგრესისა“ და „წინმსვლელობის“ მომასწავებელი, — სასურველი და მოსაწონი.

ასე ვისწავლეთ ჩვენ, ქართველებმა, მეცნიერება და „ახალი აზროვნება“. ამიტომაც ქართულ უბადრუკობას სანუგეშოდაც კი მიაჩნია, როცა ჩვენში რაიმე „ძველი“ ჩვეულება ისპობა, .თუნდა ეს ჩვეულება თავის თავად სასარგებლოც იყოს და ღირსიც შენარჩუნებისა.

დღეს გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ ძველ ჩვეულებას, რომლის თან-და-თან მოსპობა განსაკუთრებით აღდგომის უქმეებში სჩანს ნათლად და ყველასათვის დასანახად. საჭირო არ არის მოხუცი კაცების გამოკითხვა,—სულ უკანასკნელი 20 წლის დაკვირვებაც საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ ჩვენში საღდგომო დღესასწაული და გართობა ის აღარ არის, რაც წინად ყოფილა. რაც დრო მიდის, მით უფრო ამ დღესასწაულის მიგებებას ხალხის მხრით შნო და ლაზათი ეკარგება, და აკლდება ის თავისებურობა, რომელიც წინად ხალხის სულის სისაღეს ამხილებდა და თავისი მიმზიდველობით მაყურებელს ჰხიბლავდა და ესთეტიურად ატკბობდა. როგორც წინად, ისე ახლაც მთელ აღდგომის კვირეს ხალხი უქმობს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ წინად იგი დროს ფუჭად არ ატარებდა და დღესასწაულის შესაფერად კიდეც ერთობოდა, დღეს კი უქმობს მხოლოდ და გართობა ალარ ეხერ ხება. თუ წინად თითქმის ყოველ სოფელში მშვენიერი სიმღერები და მხიარული კრიმანჭული გაისმოდა, გაჩაღებული იყო საჯარო ცეკვა, იმართებოდა ჯირითი და ბურთაობა, დღეს ყველა ეს მივიწყებულია ან, ყოველ შემთხვევაში, წინანდელის მკრთალ ნასახსაც კი აღარ წარმოადგენს. სწორედ ნაღველი აეშლება ადამიანს, როცა ახლანდელ დღესასწაულობას დააკვირდება: მთელი დღეების განმავლობაში ხალხი ან სვამს, ან ითრობა და ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევს, ან და მინდვრად გადის და მუნჯად ბატივით დაბლადუნობს.

რა არის ახლანდელ დღესასწაულების უფერულობის მიზეზი? რად ეკარგება ხალხს გართობის შნო და ლაზათი? ჩვენის აზრით, მთავარი მიზეზი აქ თვით ხალხის შემეცნების ცვლილებაში არის მოსაძებნი. ქართული სოფელი დღეს ორის ელემენტისაგან შესდგება: ერთია—თუ შეიძლება ასე ითქვას —ელემენტი მკვიდრი, ანუ ადგილობრივი, მეორე—ელემენტი „მოქალაქე“ ანუ ეული. და, აი, სწორედ ეს მეორე ელემენტი არის ხალხისათვის ტონისა და მაგალითის მიმცემი. რამდენადაც მცხოვრებთა ეს „მოქალაქე“ ნაწილი მრავლდება სოფლად, იმდენადვე ხალხი ჰკარგავს თავისებურობას და ელევა ტრადიციულ ზნე-ჩვეულებას. და უნდა იცოდეთ, რომ სოფელი თავის შვილებს ბლომად აყენებს „მოქალაქეთა“ გზაზე. გლეხისა ან აზნაურის შვილები, ქალაქში ლაქიად, მუშად, ხელოსნად, ან ნოქრად წასული ან სრულიად უსაქმოდ მოხეტიალე; ადგილობრივ სკოლაში მოსწავლე ახალგაზდები, სხვა-და-სხვა ქალაქების სასწავლებლებში მოსწავლე ქალ-ვაჟნი, ისევე სოფლის მკვიდრთაგან წარმომდგარი ინტელიგენცია, აგრეთვე ადგილობრივი გლეხი ან აზნაური, ქალაქებში მოვაჭრედ ან მოიჯარადრედ წასული და მაშასადამე, „ქვეყნებ მოვლილი“, — ყველა ესენი არიან სოფლის ის „მოქალაქენი, რომელნიც სოფელს ძველს ელფერს უკარგვენ და, სხვათა შორის, თავისებურ სადღესასწაულო გართობასაც ავიწყებინებენ.

სკოლა ბავშვს პატარაობიდგანვე აწყვეტინებს მშობელ-მეზობლების კავშირს, აშორებს ეროვნულ ნიადაგს და უკარგავს საიმისო ხალისსა და გემოვნებას. ახალგაზდამ აღარ იცის არც ეროვნული ცეკვა, არც სიმღერები. ასევე შორდება ამ მხრივ მშობლიურ ნიადაგს ის მუშა ნოქარი ან ხელოსანი, რომელიც უმთავრესად ქალაქებში ეძებს არსებობის საღსარს და თავის სოფელს მხოლოდ სტუმრად ეწვევა. დამახასიათებელი თვისება ყველა ამ „მოქალაქეთა“—ნასწავლთა და უსწავლელთაც—ის არის, რომ იმათ თავიანთი „მოქალაქეობა“ უფრო მაღალ ღირსებად მიაჩნიათ, ვიდრე „სოფლელობა“ და ამიტომ გვერდს უქცევენ ყველაფერს, რაც

ვითომდა ამ ,,სოფლელობის'' და მაშასადამე, „ტეტიაობის“ მომასწავებელია. გემნაზიასა ან პროგემნაზიაში მოსწავლე ქალს, მაგალითად, რომელიც საღდგომოდ სოფელში მიდის დედ-მამასთან, თავის დღეში ფიქრად არ მოუვა, თუნდა რომ კიდეც იცოდეს, თავის სოფელში ლეკური ჩამოუაროს და ამგვარად დღესასწაულის დროს სოფელს საჯარო გართობაში მხარი დაუჭიროს. მისი წარმოდგენით, ეს მისი კულტურის შეუფერებელი საქმე იქნება თავის სოფელში ისეთი ცოდნა გამოიჩინოს, რომლის გამოჩენა მის მეზობელსაც შეუძლიან. სამაგიეროდ, იგივე ქალი „პოლკას“ სიამოვნებით იცეკვებს, რადგან ეს „პოლკა“ მას ქალაქიდან აქვს მოტანილი და სოფლელებისთვის უცხო და უცნაური არის. ქალაქიდან სოფელში სტუმრად მოსული „გათვითცნობიერებული“ მუშა, ან ხელოსანიც აქ თავს „მაღლა“ იჭერს და განსაკუთრებულის „სიდარბაისლით“ იქცევა; მას არც ერთი ის საგანი არ აინტერესებს, რაც სოფლელის ცხოვრების წერილმან ინტერესს შეადგენს. თავის გუშინდელ მეზობელს იგი უცქერის როგორც მოწაფეს, რომელსაც მან ჭკუა უნდა ასწავლოს, ქვეყნის ავ-კარგი გააგებინოს, მასწავლებლობა გაუწიოს და ,,გაათვითცნობიეროს'' და არა როგორც სულით განუყოფელ ძმასა და ორგანიულ ნათესავს. ,,ქვეყნებმოვლილ'' მოიჯარადრეც სოფელში ნამდვილი ფილოსოფოსი არის და ყველაფერს ,,სოფლურს'' უვიცობად და გაუნათლებლობად სთვლის. ერთის სიტყვით, „მოქალაქეთა“ ელემენტი სოფელში—ასე ვსთქვათ — მოწინავე წოდებაა და გონებრივ არისტოკრატიად არის მიჩნეული.

ადვილი გასაგებია, რომ ამ ელემენტს შესაფერი გავლენა აქვს საერთოდ სოფლელთა გონებრივ შემეცნებასა და ესთეტიურ გემოვნებაზე. ხალხი ყოველთვის იმ წოდებას ჰბაძავს, რომელიც მას თვისზე წარჩინებულად ჰყავს დასახული. რახან ნასწავლი და „გარედ გახედული“ ხალხი არც ჩვენს სიმღერებს ეტრფის, არც ჩვენებურ ცეკვა-გართობას ჰკადრულობს, მაშ სჩანს — მსჯელობს იგი — ყველაფერი ეს სიმდარის მომასწავებელი ყოფილაო, და, რასაკვირველია, თვითონაც სცდილობს გამოეთხოვოს იმგვარ ,ჩვეულებას, რომელიც ამგვარ სიმდარედ ყოფილა მიჩნეული. მე თვითონ ხშირად მილაპარაკნია ამ საგანზე სოფელში და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მიმიღია: „რა მუტრუკები ვიყავით, რომ ბურთის თამაშში თავ-პირს ვიმტვრევდითო. მაგრამ, რას იზამ, ჩემო ძვირფასო, მაშინ ჩვენში განათლება არ იყო, სწავლა არ გვქონდა და არც ნასწავლი ხალხი გვყავდა, რომ ჩვენთვის ჭკუა ესწავლებიათო“.

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ეს ერთი რამ აუცილებელია, რომ დღეს საღდგომო დღესასწაულები ჩვენში, წინანდელთან შედარებით, ყოვლად უფერული და ულაზათოა. მაგრამ ამ საგანზე ჩვენ მარტო ამ ულაზათობის გამოსახატავად არ დაგვიწყია ლაპარაკი, — თავისთავად დღესასწაულის უფერულობას მაინცა და მაინც დიდ ამბად არ ჩავთვლიდით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველი ჩვეულების დავიწყებას უფრო საყურადღებო შედეგი ახლავს. სახელდობრ, გარეგობას წყალობით დავიწყებას ეძლევა სახალხო ლექსები, ჰქრება ქართული სამუსიკო კილოები, არ ინახება ეროვნული ცეკვა, არ ვითარდება პლასტიკა და ხალხს სრულებით ავიწყდება ისეთი თამაშობის ჩვეულება, რომელიც ფრიად საჭირო და სასარგებლოა ადამიანის ფიზიკურ და მორალურ სიმტკიცის განვითარებისათვის. ნურავის გაუკვირდება, რომ ძველ სადღესასწაულო გართობის დავიწყებას ამდენი ზიანი ახლდეს შედეგად. არცერთი ახალგაზდა არც ცეკვას, არც სიმღერას იმისთვის არ ისწავლის, რომ შემდეგ თავის სახლში მარტომ იმღეროს ან იცეკვოს. ერთიც და მეორეც მას უნდა ხალხში გამოსაჩენად. ქალაქში რომ კლუბები არ იყოს და ბალები არ იმართებოდეს, არცერთი ქალი არ ისწავლიდა ევროპიულ ცეკვას, რომლისთვისაც დღეს დიდ დროსა და ფულს ხარჯავენ. სოფელში კლუბების სამაგიეროა რამდენიმე დღესასწაული წელიწადში, როდესაც ხალხი მინდვრად გამოდის, ცეკვობს, მღერის და ერთობა. და როდესაც ეს ჩვეულება ჰქრება, ცხადია, მოზარდ თაობას ეკარგება ერთ-ერთი მთავარი მოტივი ცეკვისა და სიმღერების შესასწავლად. ამიტომაცაა, რომ ჩვენი სოფელი თან და თან ღატაკდება მუსიკისა და საზოგადოდ ესთეტიურ გემოვნების მხრით. სხვა განათლებულ ქვეყნებში აუარებელ ფულსა და შრომას ხარჯავენ სახალხო მუსიკის დასაცავად და ეროვნულ ხელოვნების შესანარჩუნებლად; აღზრდის საქმეში პირველ ადგილს უთმობენ ფიზიკურ ვარჯიშობას და ამიტომაც სხვა და სხვაგვარ სპორტისთვის ხარჯებს არ ერიდებიან. ჩვენ კი, არა თუ ხარჯებს არ ვეწევით და ახლის შესაქმნელად თავს არ ვიტკიებთ, უკვე ისტორიულად შექმნილ ჩვეულებას არ ვიცავთ და ხალხს მასზე გულს ვუკრუებთ. ეს არის სავალალო სიბეცე, რომელიც ბოლოს და ბოლოს სანანურად გაგვიხდება, თუ დროზე ყურადღება არ მივაქციეთ.

მაშ, ქრისტე აღსდგა, მკითხველო! მივულოცოთ ერთმანეთს ჩვენებურად, ძველებურად: სიმღერა-გალობით, ცეკვით და ვარჯიშობა-თამაშით. მერწმუნეთ, ეს კარგი და სასარგებლოა ყველაფრით!

შინაური.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნუ მომაგონებ!...

—:—

ნუ მომაგონებ იერუსალიმს,
ბრბოს, ბნელ-გარეწარს, იუდას ამბორს;
ნურც ცის ტატნობზე ვარსკვლავთა ციმციმს...
ნუ მომაგონებ გოლგოთას მთა-გორს.

* * *

ნუ გამახსენებ პილატეს ჯარსა,
ნურც მაგდალინელს, უღვთოდ წამებულს,
ნურც ურიასტანს, წამების ჯვარსა...
და ნურც შავ-გვირგვინს, ეკლით მოქარგულს.

* * *

ნუ მომაგონებ
აწმყოს და წარსულს...
ნუ, ნუ მაღონებ...
ამაოდ ჰგონებ,
ვერ დაიმონებ
ამ ჩემს ამაყ სულს.

* * *

ნუ, ნუ მილოცავ აღდგომის დღეს, ნურც ჭრელ
გაზაფხულს,
ჩემგან ვერას დროს ვერ მიიღებ სამაგიეროს.
ოჰ, მითხარ, მითხარ: ხალხთ ჟრიამულს, ბუნების
ფერხულს,
სულმა ტყვედ-ქმნილმა ვით შეამკოს, როგორ
უმღეროს?!...

* * *

ჩამიკლეს რწმენა
მგოსანს-ობოლ-მწირს.
სიამე, ლხენა,
ზე აღმაფრენა,
ბნელს ჩაესვენა...
დაეშვა ძირს... ძირს!

* * *

ნუ მომაგონებ დაღ-დასმულ ცელქ-ღიმს,
ნუ მომაგონებ იესოს მცნებას,
ვერ აატოკებ ჩამკვდარ გულის სიმს,
ვერ მომწყვეტ სევდას, ვერ მომცემ შვებას...

* * *

ვით მოგილოცო, ჩემო დაია,
ვით გაგაგონო უცხო, ამო ხმა;
სად მოგიკრიფო ვარდი და ია? —
იმედის ბუჩქი ჩასჭკნა, ჩამოხმა.

ი. გრიშაშვილი.

ზეინაბის გასამართლებელი

9 აპრილს, ქართულ თეატრში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა ა. სუმბათაშვილის დრამის „ღალატი"-ს გმირების, ზეინაბისა და ოთარბეგის გასამართლება.

ამ გასამართლებას დიდძალი ხალხი დაესწრო, რომელიც დიდის ყურადღებით ისმენდა, როგორც ბრალმდებლების, აგრეთვე დამცველების სიტყვებს.

ნაფიცმა მოსამართლეებმა დამნაშავედ იცნეს ორივე გმირი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში.

ჯერ-ჯერობით ვბეჭდავთ ერთ-ერთ დამცველის, ბ-ნ გ. რობაქიძის სიტყვას.

ზ ე ი ნ ა ბ

(სიტყვა წარმოთქმული 9 მარტს 1910 წ.)

ადამიანის ტრაგედიას სხვათა შორის ისიც წარმოადგენს, რომ მსოფლიო არსთა შორის არ არსებობს ერთნაირი გაგება. ისინი მრავალ საფეხურათ იყოფებიან და თვითეული მათგანი მხოლოდ შემდგომ ნაწილად შედის ერთს დიადს სხეულში. კიბე კი, გრძელი და რთული, სულ მაღლდება და მაღლდება, და იქ, უსაზღვრო სივრცეში, უერთდება მსოფლიოსა. ქვემდგომი. საფეხური ვერ სწვდება ზემდგომ საფეხურს, თუმცა ზემოდმი საფეხური ეყრდნობა ქვემდგომსა. და იმართება ერთგვარი გაუგებრობა: დაბალ საფეხურზე მდგომი ვერ იგებს მაღალ საფეხურზე მყოფს, თუმცა მაღალ საფეხურიანი სწვდება დაბალ-საფეხურიანსა: ადამიანი უფრო იგებს ცხოველსა, ვიდრე პირუტყვი მეტყველსა. ეს მოვლენა ჰქმნის ტრაგიულს გაუგებრობას. კაცობრიობას მოევლინა განმანთავისუფლებელი მესსია, კაცობრიობამ ვერ გაიგო და ჯვარს აცვა იგი; მაგრამ მესსიამ გაიგო კაცობრიობა, გაიგო მისი გაუგებრობაც, და ჯვარსცმულმა მისი მიტევება სთხოვა უფალსა. ეს არის მსოფლიო სიმბოლო, რომელიც ობოლ ვარსკვლავად ევლინება კაცობრიობის წყვდიადით მოცულს ისტორიასა..

და ეს გაუგებრობაა სწორეთ ზეინაბის გასამართლება. ზეინაბ ღალატობს ქმრად მიჩნეულსა და საქართველოს დამპყრობელს სოლეიმან-ხანს, ღალატობს ოცი წლის განმავლობაში თავის დამცირებით, ცბიერობით, ტყუილით, სიცრუვით, სხეულის შეურაცხყოფით, ღალატობს მისთვის, რომ იხსნას თავისი დამონებული ერი. მან ამ ღალატით თავისი კერძო პიროვნება მსხვერპლად მიიტანა სამშობლოს საკურთხეველზე, იგი ამ მსხვერპლით უკვე გამართლებულია; მაგრამ მრავალნი, ყოველდღიური თვალსაზრისით აღჭურვილნი, ვერა ხედვენ ზეინაბის ზეადამიანურს მსხვერპლს და საშინელ დანაშაულად უთვლიან მას ამა ღალატსა. და სწორედ ეს მაიძუ-

ლებს ავხადო საიდუმლოების ფარდა ზეინაბის ტანჯვით აღვსილს დიადს სულსა..

დედოფალი ზეინაბ თვითონ ტანჯვაა, მისი ხორციელი ყოფა. ძვირად მოიპოვება მსოფლიო ისტორიაში ისეთი მაღალი ტრაგიული გმირი, როგორიც არის ზეინაბ. მშვენიერია სოფოკლის ანტიგონა: მან გადალახა ადამიანის მიერ შექმნილი კანონი და აღასრულა ღვთაებრივი მოვალეობა: უარჰყო ყველაფერი, რომ საფლავისთვის მიებარებია ველად მიგდებული ცხედარი მოღალატე მაგრამ საყვარელი ძმისა; მან არად ჩააგდო პირადი სიტკბობა გემონთან სიყვარულისა და სასჯელად ამისა საშინელს გამოქვაბულში დალია თავისი მშვენიერი სული. მშვენიერია იბსენის ნორაც: მან უარჰყო დამმონებელი ოჯახი და იხსნა თავისი ქალური პიროვნება; მან უკუ აგდო უზრუნველყოფილი ცხოვრება და გაუდგა ეკლით მოცულს ახალს გზას.. მშვენიერია მრავალი სხვა გმირიც, მაგრამ ყველას უფრო დიადი თავის ტანჯვით დედოფალი ზეინაბია. ყოველი სხვა გმირის ტანჯვა უფრო ინდივიდუალურია, ვიდრე მსოფლიური; ზეინაბის ტანჯვა კი ტანჯვაა მთელის ერის, მთელის სამშობლოის, საუკუნოებით ტანჯულისა და წამებულის.

რომ უფრო ნათელ-ვყოთ მისი საშინელი ტანჯვა, შევადაროთ მას ღრმა და ნარნარი ტრაგიზმი შექსპირის ჰამლეტისა. ვინ არის ჰამლეტ? დანიის პრინცი, რომელსაც ისეთი საქმის ასრულებას ავალებენ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეტად დიადიცაა და მეტად მდაბალიც: ეს არის სისხლის აღება მამა მისის მკვლელისა, ჰამლეტის ბიძისა. ჰამლეტ ოცნების მოტრფიალეა, და მას სამოქმედოთ უხმობენ; იგი პოეტია ბუნებით, და მას საბრძოლველათ იწვევენ. მან სრულებით არ იცის, რა ჰქნას და მისი შეშლილობა სწორედ მასში მდგომარებს, რომ იგი იგონებს შეშლილობას. ბრუტი იხვევდა გარს შეშლილობას, რომ მასში დაეფარა ხმალი თავის გაზრახვისა, ხანჯალი თავის ნებისა; ჰამლეტის შეშლილობა კი მხოლოდ მასკაა, რომლის ქვეშ მხოლოდ ნების სისუსტე იმალება. ხუმრობასა და გრიმასებში იგი გადაწყვეტის გადადებას ხედავს, — და განაგრძობს თამაშს მოქმედებასთან, როგორც მხატვარი თეორიასთან. იგი ხდება ჯაშუში საკუთარის ქცევისა, და აკვირდება რა თავის სიტყვებს, იმცნევს, რომ ეს მხოლოდ „სიტყვებია, სიტყვები, სიტყვები“... იმის მაგიერ, რომ სინჯოს გმირად გახდეს თავის საკუთარი ისტორიისა, იგი სცდილობს იყვეს მაყურებელი თავის საკუთარი ტრაგედიისა. აი ტრაგიზმი ჰამლეტისა, უაილდის მართალი დახასიათებით! ტრაგიზმი იგი მეტად ღრმაა და ძალზე ნარნარი, მაგრამ იგი ინდივიდუალურის სულის საზღვრებს მაინც ვერ სცილდება. ზეინაბის ტანჯვა სხვაგვარია: იგი სცდილდება პიროვნულს საზღვრებს და იტევს ეროვნულ ვაებასა!

ვინ არის ზეინაბ? სოლეიმან-ხანმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო პატარა საქართველო, მიეცა ლა მეფე თეიმურაზ და მის ტასტზე თვითონ — ვიდა მფლობელად. მეფის ცოლი ზეინაბი კი „მოღალატე თავადიშვილებმა მორთეს დედოფლად, მისცეს ხელში ოქროს სინი და ზედ დასდვეს გასაღები უკვე აღებული ციხისა; ჩაჰკიდეს ხელი, გაიყვანეს გარეთ და იქ დააჩოქეს მტვერში“. ხალში ამ დროს სხვა რამე ხდებოდა... როცა გამხეცებულნი სპარსნი ზედ ასკდებოდენ ქართველთ სიმაგრეს, ანანია გლახა ამ დროს მტკვრის პირას ფრიალკლდეზე მიფორთხავდა: ხელში ბავშვი ეჭირა და გაჭირვებით აღწევდა დედოფალის სარკმელს... სოლეიმან დაეძებდა მოსაკლავად ტახტის მემკვიდრეს, — და აი, ანანია, ეს ღვიძლი შვილი ხალხისა, საკუთარს შვილს აძლევს ზეინაბს სოლეიმანის ცხენის ფეხთ ქვეშ გასაჭყლეტად, ხოლო მემკვიდრე ტახტისა გიორგი, ეხლა ერეკლედ გადარქმეული მას აღსაზრდელად ანანურში მიყავს. აი საშინელი მამულიშვილური მსხვერპლი! აქ მარხია საიდუმლოება ზეინაბის ოცი წლის ტანჯვისა. ამბობენ, სასწაული არ ხდებაო, მაგრამ სულმა ბევრი რამ იცის სასწაულის მგზავსი. ხალხმა ანანიას ბავშვის სახით მსხვერპლი მიუტანა დედოფალსა, და დედოფლის სულს, ღრმასა და ძლიერს, ნათელსა და ნორჩს, რაღაც ახალი რამ, მთელი ბუნების გარდამქმნელი, უნდა ეგრძნო. და იგრძნო კიდეც: „როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებდა ეს ამბავი ჩემს სიცოცხლეში, — ამბობს დედოფალი; მან მასწავლა, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყნად კაცმა ადამიანურად“. მსხვერპლი და მსხვერპლის შეწირვა, — აი, რა ისწავლა დედოფალმა ადამიანის სიცოცხლის გარდასაქმნელად. მას ერმა მსხვერპლი მიართვა, და ეხლა დედოფალი თვითონ სწირავს თავის თავს და სრულიად გარდაიქმნის. ხოლო თავის გაწირვა მას ამ საზიზღარსა და საშინელს სინამდვილეში ღალატით უხდება.

რაშია მისი ღალატი? სოლეიმანის ნდობის მოსაპოვებლად თვითონაც იმისთანა გახდა. იგიც ჩაგვრასა და სისხლის ღვრას თხოულობდა. მისი ახალი სახელი უფრო საშინელი შეიქმნა მის სამშობლოში, ვიდრე სახელი მისი ჯალათისა. ულამაზო არ იყო და მისი სილამაზე მტარვალმა თავის გულისთქმათა სათარეშოდ გაიხადა. სახელი, პატივი, სიყვარული, მეფური დიდება, — ყოველივე ტალახში ამოსვარა არაბისტანის გადმოვარდნილის საამებლად. მიეჩვია, ისწავლა ტყუილის თქმა, და სტყუოდა პირი-სახით, ხმით, გულისთქმით, მთელი არსებით... გადიოდა დრო და იღუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი, ერთგული ყმანი და მსახურნი. გაიქვავა გული. ამოიგლიჯა გულიდგან გრძნობა ვისიმე შებრალებისა. შებრალებაც, სიყვარულიც და სინიდისის ქენჯნაც, — ყოველივე დაითრუგნა,

ჩაკვდა მის გულში. აღარავინ უყვარდა უკვე: აღარც ნათესავი, აღარც მეგობარი... აღარც ღვიძლი შვილი... ისიც კი ამოირეცხა გულიდგან. აი საშინელი უარისყოფა.

იგი უარისყოფა ზოგიერთს შეუძლებლად ეჩვენება, მაგრამ თუ ზეინაბის ტანჯვით განდიდებულ სულს ჩაუკვირდით, დავინახავთ, რომ მას არა თუ შეეძლო უარისყოფა, არამედ კიდეც უარ უნდა ეყო ყველაფერი. ვისაც ჩემი გამოყოლა სურს, მან უნდა დაუტევოს ყველაფერი, — წარმოსთქვა დიდებულმა ნაზარეველმა; ვისაც უნდა რაიმე იდეა განახორციელოს, მან ამ იდეასათვის ყველაფერი უნდა უარჰყოს. და ზეინაბისათვის ამგვარ იდეად მისი ტანჯული სამშობლო წამოიჭრა წინ: და უარჰყო მან ყველაფერი, რომ მხოლოდ ერს კუთვნებოდა. ამოირეცხა გულიდგან ყოვლის სიყვარული, გახდა შეუბრალებელი. რისთვის? მისთვის, რომ მას უყვარდა მხოლოდ ერი, მისი ტანჯული და წამებული, ღარიბი და ღატაკი ერი. **ახლობელისათვის გული გაიქვავა, რომ შორეული უფრო ყვარებოდა.** აქ მან ნიცშეს იდეა შორეულის სიყვარულისა განახორციელა. ახლობელი მისთვის მონურია, ვით ოთარბეგი, — და სასტიკადაც ეპყრობა იგი მას: აღვიძებს მას მკვეთრი თვალ-გაყრით თავისუფლებისათვის; შორეული მისთვის თავისუფალია, ვით უძლეველი სული თითქმის აჩრდილად ქცეულის ისახარისა,—და ლმობიერი სიყვარულით შესცქერის მას. და აი, ამ იდეას, იდეას სამშობლოს ხსნისას და განთავისუფლებისას, შესწირა მან მსხვერპლად სახელი, პატიოსნება დედოფლისა და დედაკაცისა, ალალმართლობა გულისა, ხსნა მისი უკვდავი სულისა.

აი, საშინელი, სისხლით დაწერილი ფურცელი შემზარავი ტრაგედიისა: მას განმარტება არ სჭირდება: იგი თვითონ ცოცხლად გვისახავს ოცი წლის ტანჯვა-წამებასა. შეიძლება იკითხოს ვინმემ ოთარბეგივით: ნუ თუ არ შეეძლო დედოფალს შური ეძია და გაეგმირა გული მტარვალისა? დიახ, რომ შეეძლო, მაგრამ, თვითონ დედოფალის სიტყვის არ იყოს, ვის რას მოუტანდა მისი სიკვდილი! განა, ცოტა ჰყავდა შაჰის სოლეიმანისთანა ქმნილებანი, კიდევ უფრო მოსისხარნი, კიდევ უფრო გაუმაძღარნი სისხლის მსმელნი? არა, შურისძიების მოლოდინში არ იყო იგი მხოლოთ. იგი ელოდა იმ დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა იგი რისხვა მოსქდებოდა მთის ადიდებულ წყალივით, როცა თვითეული მონა იგრძნობდა, რომ იგიც ადამიანია და თავისუფალი უნდა იყოს; იგრძნობდა და აღსდგებოდა მტარვალთა დასამხობად! და მისი შვილი წინ წაუძღვებოდა სილაღის მოწყურებულ მეომართა! მაშინ მისი შვილის ფეხთა ქვეშ, ძის განსჯად მიიტანდა იგი თვის ცოდოსა და თვის შერცხვენასა...

ასეთია ტანჯვა ზეინაბისა, ასეთია მისი მსხვერპლი: საშინელი და განმწმედელი.. და ჩვენს წინაშე პირველ ყოვლისა ასეთი კითხვა იბადება: შეუძლია თუ არა ადამიანს თავისი პიროვნება მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს განთავისუფლებას? არის თუ არა სამშობლო ისეთი უზენაესი ღირებულება, რომლის სახსნელად თუ საჭიროა პიროვნებაც უნდა დაჰკარგოს გმირმა ადამიანმა? დიახ, დიადია სამშობლო და ღრმაა მისი გრძნობა; წმინდაა მისი საკურთხეველი და განმწმედელი მასზე შეწირული მსხვერპლი.

ყოველი ჩვენთაგანი მხოლოდ ორგანიული ნაწილია სამშობლოს სხეულისა, რომლის გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ შეგვიძლია. ჩვენ ვიტანჯვით, — იგი ტანჯვა მშობლიურ სიტყვაში უნდა გამოვხსნათ, რომ გამოთქმაში ვაქარვოთ მისი სიმძაფრე. ჩვენ წყლული გვაქვს, —მას მშობელის საყვარელი ხელი უნდა მიეკაროს, თორემ მისგან სისხლი ითქრიალებს. ჩვენ სისხლი მოგვხეთქს წყლულისაგან, — იგი სისხლი მშობელის ცრემლმა უნდა ასველოს, რომ მისი დენა უტკივრად ხდებოდეს. მშობლის ძუძუ უფრო ტკბილია, ვიდრე ნექტარი უკვდავებისა; დედის ნანა უფრო გულჩამწდომია, ვიდრე სიმფონია ბეტჰოვენისა. და განა მარტო ეს, სულიერი, გვიყვარს სამშობლოში?! ჩვენ გვიყვარს თვითონ მისი სხეული, მშობელი მიწა. ჩვენ გვიტაცებს თავისუფლად გაშლილი ველი, რომლის სივრცეს ღრმა ფიქრებს გავაყოლებთ ხოლმე. ჩვენ შევფრფინავთ ამაყად ამართულს კლდეს, რომლის ნაპრალიდგან გაისმის არწივის ყივილი. ჩვენ გვიყვარს ყრუ ღელენი და მყუდრო ჭალები, რომელთა დუმილს მხოლოდ-ღა მწყემსის სალამური არღვევს. ჩვენ ვუსმენთ მთით გადმოხეთქილს ბინულს და მის ვერცხლისფერ ჩქერში ვნატრობთ გრძნობათა განბანას... ჩვენ ვეტრფით მოლით მოცულს კორდს დასასვენებლად, და მწვანე მდელო გვიშლის ვარდსა და ყვავილს, მომხიბლავს და მათრობელსა... ასეთია სამშობლოს სიყვარული: ძლიერი, სტიქიური. ძნელი არის მის გარე-ყოფნა: გული ნაღვლით ივსება და სული კაეშნითა. რა აღტაცებას იგრძნობს გარდახვეწილი, თუ მას შორით უეცრივ მშობელი მუსიკა მოესმა: იგი უთუოდ ცრემლსაც დაღვრის აღტაცებითა. ძნელი არის სამშობლოს დაკარგვა, მთელი ერის დაობლება. ვერავინ აღწერს იმ ნაღვლითა და ბოღმით სავსე ღიღინს ებრაელისას, რომელიც მზის ჩასვლისას და ბუნების მიყუჟების ჟამს გაისმის განმარტოებით: იგი ნაღვლობს აღთქმული ქვეყნისათვის, იმა ღიღინში საუკუნოებია ჩამარხული, და რა ვერ ნახულუბს, ჰქრება ნელი-ნელ უდაბნოში დღისით ანთებული ალივითა. ვერა რა სიმი ჩაიქსოვს სამშობლოს ტანჯვის ნარნარ გრძნობას; ვერა რომელი მელოდია გამოსთქვამს მისი სულის ობლობას. შეიძლება თარმა გვამცნოს იგი, მაგრამ ეს ხომ მუსიკა არაა: ეს

ყელს მომდგარი ქვითინია, დაკარგული ჰანგი, რომელიც დედას დაეძებს და ვერ მოუნახავს..

აი, რა არის სამშობლო და რას შესწირა ზეინაბმა მთელი თავისი არსება. იგი არ არის უბრალო პიროვნება, სული მისი აღარ არის ინდივიდუალური: იგი ქცეულა სამშობლოს პიროვნებად, მასში სახიერებულა საქართველოს სული. ზეინაბ აღარ არის ზეინაბ: იგი მხოლოდ სიმბოლოა ობოლი სულის; მაგრამ სიმბოლო უფრო ნამდვილი და ხორცსხმული, ვიდრე პიროვნება კერძო ადამიანისა. მაგრამ, განა შესაძლებელია ნამდვილი არსის სიმბოლოდ ყოფად-ქცევა? იკითხავს ვინმე და სრულიად სამართლიანად. შესაძლებელია, მაგრამ საძნელო.. სამშობლო სული ერთია და შეიძლება რომელიმე მისი მხარე ერთს პიროვნებაშიაც განხორციელდეს. ეს ხორციელება იქნება სიმბოლო განხორციელებულისა. ზღაპარი გამოსთქვამს ხალხის ნაზრახს, მითი სახავს ხალხის ფიქრს, ლეგენდა ასხამს ხალხის ნააზრს. და სწორეთ ამნაირად შეიძლება რომელიმე მომადლებულმა შვილმა მშობელი ერის სახის რომელიმე მხარე განახორციელოს. შოთა რუსთაველმა გამოსახა ქართველობის შემოქმედებითი ძალა და ჩამოასხა მისი ნიჭი საოცარის მეტყველებისა. ზეინაბიც ასეთი პიროვნებაა: მინ გამოსახა ქართველის სული, მონობაში ტანჯული და ტანჯვაში მებრძოლი. და ღირს-აღსანიშნავი ფაქტიც: რამდენათ უფრო ახორცხილებს რომელიმე შვილი ერის კოლლექტივურ სახეს, იმდენად იგი საკუთარ სახეს სცილდება, ჰკარგავს მას, ან უკეთ რომ ვთქვათ, ისხამს ახალს სახეს, იდუმალს, სიმბოლიურს. შოთა ჩვენთვის ყოველდღიური პიროვნება არაა: იგი იდუმალი სახეა ქართველთა პოტენციალური ძალისა. იგი ლანდია, აჩრდილი; მაგრამ ყოფის ღრმა კუნჭულში ნაგრძნობი, იგი ლანდი ხორცსხმული არსია, იგი აჩრდილი მკვეთრი ინდივიდუალობა. ასეთია ზეინაბიც: იგი აღარაა ყოველდღიური კერძო პიროვნება: იგი, ასე ვსთქვათ, მითია და ლეგენდა, მხიბლავი ზღაპარი, წარმტაცი პოემა... და ეს პოემა და ლეგენდა უხილავი სახეა საქართველოს მონობაში ტანჯული სულისა. ქვეყანაზე არც კი არსებობს ისეთი ტანჯული ერი, როგორიც არის ქართველი ერი. ისტორია მისი ერთი დიდი ტრაგედიაა, საშინელი და შემზარავი მერტიროლოგია. სიცოცხლე და სიკვდილი, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, თავისუფლება და დამონება, მორჩილება და განთავისუფლება,—აი სისხლით გასმული ხაზი იმა ტრაგედიისა.. ამას ქვითინებს ქართლის დედა, ამას მოსთქვამს ქართველი მგოსანი, ეს გაისმის მეხრის სევდიან ღიღინში.. და ყველა ეს ერთი ჰანგით არის ამუსიკებული, გულჩამწდომი ჰანგით, რომელიც თითქო წყვდიად ბნელეთში დაკარგულა და აქვითინებული დაეძებს მშობელს მუსიკას. და, აჰა, იმა ჰანგმა მონახა იგი დედა, ზეინაბ, მწუხარე და საშინელი სახე დამონებული ერისა...

ზეინაბ ემორჩილება სოლეიმანს არა მისთვის, რომ დაემონოს, არამედ მისთვის, რომ სამშობლო დაიხსნას. იგი თავს ამცირებს, სული რომ განადიდოს.. იგი ფეხს ეგება მტარვალს, რომ ერი აღამაღლოს.. მან მისცა მას ყოველი: დიდება და პატივი, სხეული და ვნება, ხორცი და ტკბობა. მაგრამ არ მიუცია მას მტარვალისათვის თავისი სული, ტანჯული და წამებული სული, რომელიც სულ სხვას ლამობდა, სულ სხვას ოცნებობდა.. **ზეინაბმა უარჰყო თვისი სხეული-პიროვნება ხოლო სული-პიროვნება ერის სახსნელად აღზარდა..**

და აქ იმართება საშინელი ტრაგიული ბრძოლა: მსხვერპლი და მსხვერპლის შეწირვა.. განა, შეიძლება „სხეული-პიროვნების“ გაწირვა, თუ გინდ უმაღლესი იდეალისათვის? იკითხავს წარმართი და მისი მზგავსი თანამედროვე ესთეტი-ინდივიდუალისტი. ყველაფერი სხეულია, ყოველი ვნებით სცოცხლობს. არ არსებობს უკვდავება, მაგრამ არც სიკვდილი არსებობს. ერთის სიკვდილი მეორის სიცოცხლეა. მეორის სიცოცხლე სხვისი სიკვდილი; მაგრამ ყველა ერთად ერთ-სხეულნი არიან, მსოფლიო სიცოცხლეს ზიარებულნი.. და აი, ადამიანის სხეული მისთვის წმიდათა წმიდა უნდა იყოს.. ადამიანი სხეულით ასხამს თავის პიროვნებას, — და ის, ვინც ჰყიდის თავის სხეულს, იგი ჰყიდის პიროვნებას; ვინც ამცირებს სხეულ-ყოფას, იგი ამცირებს თავის არსებას. და მართლაც: ძნელია სხეულის შეურაცხყოფა, საშინელია მისი ძალდატანება, შემზარავია მისი გაყიდვა. ამას მოწმობს კაცობრიობის გრძნობა, ამხედრებული ამგვარი ქცევის წინააღმდეგ.. ყველა ეს მართალია, — და სწორეთ აქ ღრმავდება ადამიანის ტრაგიზმი..

ქვეყნიერება ისეა მოწყობილი, რომ ყოველი მაღალი იდეა თავის განსახორციელებლად მსხვერპლსა თხოულობს. ჩვენ გვსურს გამოვსთქვათ მშვენიერი ჰანგი?! ხე უნდა მოვსჭრათ, ცხოველი უნდა მოვკლათ, ხისაგან ჭიანური გამოვთალოთ, წელი მას სიმად გავაკრად, — და მხოლოდ შემდგომ შეგვიძლია გავახმაუროთ იგი ჰანგი. ესევე ხდება ადამიანის ცხოვრებაში, რაიც შემზარავად ხდის მის ტანჯვასა.. და სწორეთ ეს შემზარავი მხარენი ახლავენ ზეინაბის ტრაგედიასა. იტანჯვის ქრისტე, მაგრამ მის ტანჯვაში ვერ ნახულობთ ადამიანურს ნაკლს; იტანჯვის ზეინაბ, და თქვენ მის ტანჯვაში დანაშაულსაც ჰპოულობთ. აქ მარხია საშინელი სინამდვილე: ზეინაბს თავის მსხვერპლით რაიმე ძვირფასი უნდა დაეკარგა.. და დაჰკარგა კიდეც: თავისი სხეული, თავისი ემპირიული პიროვნება... მაგრამ, ვის შეუძლია სთქას, რომ მან ყველაფერი დაჰკარგა?! არავის! არ დაუკარგავს მას ერთი რამ, რაიც ყოველს დაკარგულზე მაღლა სდგას: ეს მისი სული, მონობაში ტანჯული და ბრძოლაში განთავისუფლებული. და აი, ამ მძლავრი სულით მან თავი-

ვისი ნამდვილი პიროვნება იმ სიმაღლემდე აღიყვანა, რომ იქცა შეუდარებელ ზე-ქალად...

ადამიანის ბუნება ორი „მეს“ სახიერებაა: ემპირიულის და ზეემპირიულის, წარმავალის და წარუვალის, აჩრდილისებურის და ნამდვილის ადამიანის „მე“ ყოველთვის ერთი და იგივე არ არის: იგი მუდმივ იცვლება: და ცვალებაში ახორციელებს იგი თავის მეტაფიზიურს სახეს. საკითხავია მხოლოდ: სად ხდება მისი ნამდვილი ხორციელება, სად ამყარებს თავს მისი ნამდვილი არსება? ძნელია ამის პასუხი, მაგრამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იგი დამყარება არ მოხდება მსოფლიოსაგან გამოყოფილს კერძო პირადობაში. ამაყია ბაირონი, კაენითა და მანფრედით თვით განგების ხმალში გამომწვეველი; წარმტაცია ფრ. ნიცშე, ზარატუსტრას პირგამეხებული სახით თვით ღვთაების წინაამდეგ ამხედრებული; მძლავრია დოსტოევსკის ივ. კარამაზოვი, არ-მიმღები და უარმყოფელი არსებული ქვეყნისა; მატყვევებელია მათი ზე-კაცური განმარტოება, — მაგრამ საკმაოა მათ გარშემო მოსპოთ თუ გინდ ეროი წუთით მსოფლიო სიცოცხლის სუნთქვა, და ისინი, ვით ედგარ პოეს ტიტანი, კვარცხლ-ბეკითგან ჩამოვარდებიან და ინაღვლებენ იმა სიცოცხლის სუნთქვისათვის.. დიახ, არ მოხდება დამყარება ადამიანის ნამდვილი პიროვნებისა მსოფლიოსაგან გამოყოფილს კერძო პირადობაში! ადამიანმა უნდა უარჰყოს თავი თავისი, რომ აცხონოს სული თვისიო, — წარმოსთქვა დიდებულმა ნაზარეველმა, და მის შემდგომ მრავალი გენიოსი იმეორებს ამ იდუმალს მაგრამ სამართლიანს აზრსა. რას ნიშნავს ეს? უარისყოფას მისას, რაც რომ ყოველდღიურია და წარმავალი, შემთხვევითი და დროული; უარისყოფას მისას, რაც რომ ვიწროთ გამოჭრილია და ხშულ ბნელეთით მოცული; უარისყოფას ვიწრო პირადი „მე“-სას, რომელიც სხვის უარყოფას ცდილობს შურით, ღვარძლით, მძულვარებით.. ადამიანი ამ მხრივ მუდმივ სწირავს მსხვერპლსა და უნდა სწირავდეს კიდეც. არის ერთი მოხიბლავი ლეგენდა, აღმოსავლეთის წიაღში შობილი. ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანა, მაგრამ შექმნის დროს თვითონ გაჰქრა მის წიაღში: მან ისე შეიყვარა ქვეყანა, რომ მსხვერპლად იქცა მისთვის; ამიერითგან ყოველი არსი ქვეყნისა ცდილობს ეზიაროს ღვთაებრივობას და სიკვდილით, სიცოცხლის შეწირვით, ერთვის მსოფლიოსა. ადამიანი „იდეაა“, უსხეულო სახე, ჯერ კიდევ განუხორციელებელი. და სწირავს იგი ყველაფერს, რომ იგი იდეა სრულად განასახიეროს: აქ ჩამოისხმის მისი ნამდვილი, მეტაფიზიური „მე“.. **იგი სხვას უნდა შეერთოს სიყვარულით, რომ იხსნას საკუთარი პიროვნება.** და შეერთვის მხოლოდ მაშინ, თუ უარჰყო თავისი ვიწრო „მე“, კერძოებით დახშული. ასეთია სიყვარული, რომელიც მუდმივ მსხვერპლსა სწირავს: იგი თვითონ უზენაესი მსხვერპლია. ადამიანი, სიყვარულით ანთებული, სწირავს ყველაფერს: დროულს, შემთხვევითს, წარმავალს, სწირავს თვის თავს, თვის წარმავალ „მეს“, რომ საყვარელ არსში მონახოს თავისი ნამდვილი მეორე „მე“ და მით განახორციელოს თავისი ნამდვილი წარუვალი არსება. ასეთია სიყვარული, მუდმივ მსხვერპლის მწირველთ... ეს არის თავის თავის უარჰყოფა სულის ხსნისათვის. განა, იგივე თავის უარყოფა არაა ეგრეთ წოდებული თავდავიწყება?! ჩვენ ვუჭვრეტთ ბუნების მშვენიერებას, მთვარით განათებულს, და ვერთვით მის იდუმალს სულთქმასა; ჩვენ ვისმენთ გულჩამწდომ ჰანგს, და ვთვრებით მისი იდუმალი გულისთქმითა; ჩვენ ვერთვით ყოველს მშვენიერს, ჩვენ ვეზიარებით ყოველს უმაღლესს, და თავი გვავიწყდება, უარვყოფთ თავის თავსა.. მაგრამ სხვასთან შერთვა ხომ არ არის სრულიად უარყოფა თავის თავისა!? ჩვენ უარვყოფთ მხოლოთ ყოველდღიურს, წარმავალს, შემთხვევითს: როცა ვთვრებით, ვაქრობთ მხოლოდ ფხიზელ „მესა“; მაგრამ ნამდვილ „მეს“, სადღაც კუნჭულებში მიმალულს, ჩვენ არა თუ არ უარვყოფთ ამ თავდავიწყებაში, არამედ პირიქით ვნახულობთ მას, ვნახულობთ უხილავ ძაფს, ჩვენის მსოფლიოსთან მაერთებელს, ჩამქსოველს, გადამბმელს.. ასეთია მსხვერპლით თავის თავის უარისყოფა..

სწორედ ამ სახით ერთვის ზეინაბიც ქართველობის სხეულს. მან უარჰყო ის, რაც წარმავალია, რაც ყველას ეკუთვნის, რაც შესახებელია, რაზედაც შეიძლება ძალა იხმარო, — და ეს უარყოფილი არსება, მისი სხეული, მოტყუებითა და ცბიერობით მისცა სოლოლეიმანსა. ხოლო სული, წარუვალი და ნამდვილი, ფორმის მქმნელი და შეუხებელი, სული, ეს დაუმორჩილებელი ენტელეხია, ნამდვილი მეტაფიზიური არსება, მან **საქართველოს სხეულს ჩაუქსოვა და მით უკვდავჰყო თავისი პიროვნება.** აქ მან ნამდვილათ დაამყარა თავისი „მე“ ნამდვილ სინამდვილეში. აქ არის მისი უზენაესი მსხვერპლი.. მან უარჰყო სხეული, რომ სული ეხსნა; მან უარჰყო ნამდვილი „მე“, რომ წარუვალი პიროვნება მოენახა. მან მსხვერპლად შესწირა თავისი პიროვნება საქართველოს, შესწირა მის წმინდა საკურთეველზე, და ღრმა ტრაგიზმით სავსე თვითონვე იყო მსხვერპლიცა და შემწირველიც. და მით მისი არსება სრულიად გარდაიქმნა, ადამიანს გასცილდა, იქცა ზე-ქალად..

ყოველი მსხვერპლი გარდაიქმნის, — ამას ფიქრობს ადამიანი და ახვევს მას მითსა და ლეგენდაში. და მოგვითხრობს ერთი საუცხოო ლეგენდა. ტიალს მინდორში უფსკრულითგან ცეცხლი ამოდიოდა და მაღლა-მაღლა მრავალფერ ალად იშლებოდა. ბრძენნი ფიქრობდენ: ვინც ცეცხლის შუაგულში ჩავარდება, იგი გარდაიქმნის და ღმერთად იქცევაო. მაგრამ ვერავინ ბედავდა შიგ ჩავარდნასა. იყო კეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვანი, საზიზღარი და შემზარავი. ერთმა ღმერთმა ურჩია მას იმა ალში გადავარდნა. და გაბედა მან შიგ ჩავარდნა, და გადავარდა იგი იმა ალში, და დაიშალა მისი სხეული. ამ დროს მოფრინდა მძლავრი არწივი, თავს დაეცა ცეცხლის კოცონს, წარიტაცა ალის ბურთი, კეთროვანით აღჭურვილი, ცას აიტანა იგი, და იქცა იგი ბურთი ცეცხლისა მზედ, ბრწყინვალე მზედ..

დიახ, მსხვერპლი გარდაიქმნის, — და ზეინაბ, ეს უზენაესი მსხვერპლი, ვით კეთროვანი ცეცხლში, სრულიად გარდაიქმნა.. მან სძლია ვიწრო-პირადი ადამიანობა და იქცა გაცისკროვნებულ ზე-ქალად; მან უარჰყო თავი თვისი და გარდაიქმნა ჩვენი სულის სახედ; იგი სდუმს, მაგრამ იგი უხმო გამოთქმაა ტანჯული სულისა. იგი უკვდავია და მოქმედობს. ქართველთა ველზე მას საბა ბერი ჰყავს, რომელიც ნერგავს სამშობლოს სიყვარულსა; ანანურში მას ჰყავს მოხუცი ანანია, რომელიც ზე-ქალს შვილს უზრდის; შეიძლება იგი შვილი ვერ გამოდგეს ნამდვილი მამულიშვილი, მაგრამ იქვე დათოც არის, ანანიას შვილი, ხალხის შვილი, რომელიც გადმოიჭრება, ვით მოწყვეტილი ირემი, და მძლავრი ხელით, ხმალ-ათამაშებულით, თავსზარს დასცემს მტარვალს სოლეიმანსა... ზეინაბს თქვენი გამართლება არ სჭირდება: საუკუნოთა იდუმალს ცვლაში იგი უკვე გამართლებულია.

გრიგოლ რობაქიძე.

შანტეკლერი.

ედმონდ როსტანისა.

—:—

ყურადღების ღირსია ეს საოცარი დრამატიული პოემა. მომქმედ პირებად აქ გამოყვანილია სხვადა სხვა ფრინველები და უმთავრეს გმირად კი — მამალი **შანტეკლერი**. მამალი საფრანგეთში ნაციონალურ ფრინველად ითვლება; იგი გამომხატველია გაბედულობის, მხნეობის და კეთილშობილურ ხასიათისა. — როსტანის თხზულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარიჟში და უკვე გადათარგმნილია მგონი ყოველ კულტურულ ენაზე. — ჩვენ დღეს ვბეჭდავთ ერთ ნაწყვეტს — იმ ადგილს, სადაც შანტეკლერის საყვარელი **ხოხობი** ეხვეწება მას: მითხარი, რაშია შენი ყივილის იდუმალი ძალაო? —ეს ადგილი ერთი უკეთესთაგანია პოემაში.

შანტეკლერი.

ღირსი ხარ ნდობის, ხოხობო? გული
გაქვს სიფაქიზით ამოკალული?

ხოხობი.

სთქვი!

შანტეკლერი.

შემომხედე და თვითონ სცანი
ის მოწოდება, რომლის ნიშანი
აი ეს არის, ეს ჩემი ტანი.
როგორც რიმ ბუკი, მტკიცე მაქ ისა,
და ისე, როგორც საყვირი რქისა,
გადაზნექილი ყელი და გული;
თითქო მისთვის ვარ დაბადებული,
რომ ხმამ ჩემს გულში დაიტრიალოს,
რომ მერე ძლევით დაიგრიალოს...
დამაცა!... ზოგჯერ ამპარტავანი
მიწას რომ ვქექავ—გამოიცანი—
რას ვეძებ მაშინ?

ხოხობი.

მარცვალს, მგონია.

შანტეკლერი.

ჰმ, ეს აზრადაც მე არ მქონია.
ზოგჯერ მარცვალსაც ვჰპოულობ ხოლმე,
ეს მართალია, მაგრამ იმას მე
ქათმებსა ვაჭმევ...

ხოხობი.

მაშ რაღა გინდა,
მიწას რომ ქექავ?

შანტეკლერი.

ადგილი წმინდა,
რომ იქ დავერჭო, როგორც ისარი,
ყივილის დროსა.

ხოხობი.

მართალი არი.

შანტეკლერი.

ისე არ ვყივი მე, შანტეკლერი,
თუ არ გავჩხრიკე კენჭი და მტვერი
და რვა თითები, წარმოიდგინე,
მიწას შავს და რბილს ვერ დავაბჯინე.
მაშინ, ამ მიწას თუ მივეკარი.
ვყივი... და აი სწორედ აქ არი
სეკრეტი ის, თუ საიდან არი
ჩემი გალობა ამომდინარი.
წმინდა წიაღი სამშობლო მხარის
მე მაძლევს იმას.... ამიტომ არის,
რომ იგი ასე მითრთოლებს გულსა;
უფრო კი მაშინ, თუ ცის უფსკრულსა
დაეტყო ცისკრის ფერ-შემკრთალობა:
ოჰ, მაშინ მე მრწამს გენიალობა!
ფოთლების რხევა ნაზი და ნელი,
მაშინ მე მივლის, ვით ჟრუანტელი
ციური ალის, და მეც ვძრწი, რომა
არ მომივიდეს რამე შეცდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუკსა მე უფრო დავემგვანები,
ტანში რქასავით გავიღუნები:—
მიწა ხმას იღებს ჩემითა—და მე,
მამალი არ ვარ უბრალო რამე —
მე ვარ იმ ხმისა გამტარებელი,
რომ მით ავავსო კამარა ვრცელი!

ხოხობი.

შანტეკლერ!

შანტეკლერი.

ის ხმა, ცისკენ რომ ადის,
იგი — ნატვრაა შუქის დიადის,
ნატვრა მწველი და გიჟური რამე,
რომ დღე გათენდეს, გავიდეს ღამე,
და გაიშალოს ოქროს ნათელი.
იგი—ნატვრაა განუწყვეტელი
ძველი ნაძვისა, ბილიკის ძველის,
ფესვების შუა ხავსიან ხვრელის,
ყვავილის, კენჭის ფერად ფერადის—
ის ნატვრა მწველი, ცისკენ რომ ადის.
იგი—ხმა არის მწუხარე მათი,
რასაც აქვს ფერი, შნო და ლაზათი;
ხმა არის იგი, რომლით ტყე-ველი
ცას ეველრება, ნამითა სველი,
ნამისა ცვრებზე—ცისსარტყელასა;
ბალი კი ითხოვს შუქსა ყველასა,
რომ ფოთლებ-შორის, ხეივნის ბოლოს,
ცეცხლის ალები წამოათრთოლოს.
იგი ხმა არის არსის ყოველის,
რომელიც ღამეს, ვით სასჯელს, ელის
და ტანჯვით იტანს, სანამ არ გავა,
თუმც კი არ იცის, რა დააშავა;
ხმაა — სიცივის, შიშისა, წყენის,
რაცა კი ღამეს ჰრევსა და ჰდენის,
მწუხარებისა, ტანჯვისა ცხადის,—
ის ხმა დიადი, ჩემში რომ გადის.
იგი ხმა არის მთრთოლვარე ვარდის,
სათიბი ველის, ჩირგვის და ბარდის;
ცელის ველზედა დავიწყებულის
მუშისა-მიერ... სითეთრის სრულის,
რომელსაც უფრო უნდა ბრჭყვიალი;
ცხოველთა, რომელთ არა აქვსთ ბრალი,
არცა მოქცევა რამ დასამალი;
იგი—ნატვრაა ნაკადულისა,
რომ ცას აჩვენოს სილრმე გულისა;
თვითონ გუბესაც ის ენატრება,
როცა შუქის-ქვეშ ბრწინავს და ჰშრება,
თითქმის ტალახსაც იგივე სწადის,—
აი ის ხმები, ჩემში რომ გადის.
ხმა არის იგი მშვენიერ ყანის,
გაშლილ ჯეჯილის, ზურმუხტის მწვანის;
ხისა, რომელიც ლამაზად ჰყვავის;
ყურძნის, ფოთლებში რომ გამოსჭვივის
და ჰნატრობს, რომ მზემ აუწვას კანი;
ხიდის, რომელსაც ადამიანი
უნდა და უყვარს, მასზე გამვლელი,
რომ შეარხიოს ფიცარი ძველი,
და, მასზე ჩრდილი დაშლილი თუა,
ჩიტების ლანდიც ჩრდილების შუა;
ყველაფრის—რასაც უდუღს და ჰშვენის
წყურვილი მღერის, სიცოცხლის, ლხენის,
ან სამსახურის: — გახდეს ან კარი,
კიდე, ან სკამი, ან ქვა გამთბარი,
რომლით—იქნება—გათბება ნელა
ან კაცის ხელი ან ჭიანჭველა...
ბოლოს ის არის, იქ იხატება
ჯანმრთელობა და მშვენიერება
ყველასთვის, ვისაც კი უნდა, რომა
სდუღდეს სიცოცხლე მზის ქვეშ და შრომა.
რა რომ დაიძვრის ჩემში ეს ხმები,
მე ვჭიმავ სულსა, თვით ვიჭიმები,
რომ ჩემს ყივილსა უფრო ხმოვანი
მიეცეს ამით სილრმე და განი.
ჯერ მე იმასა შევიკრავ გულში,
შიშით დამწვარსა მის სიყვარულში,
მერე ძლევით რომ გამოიხატოს,
გავხსნი უეცრად ჩემსა ყანყრატოს
და დავიყივლებ... და მაშინ მჯერა,
რომ დიადი მაქვს ბედისა წერა
და ვით ერიქონს თავზარდამცემი
დაანგრევს ღამეს ყიყლიყო ჩემი...

ხოხობი (შეშინებული)

შანტეკლერ!

შანტეკლერი.

მე ხმა ისე მაქვს რთული,
მხნე, მედიდური, დარწმუნებული,
რომ ცა ვარდისფრად ათრთოლებული
მემოორჩილება!

ხოხობი.

შანტეკლერ!

შანტეკლერი.

ვყივი!
და თუ არა სჩანს დილისა სხივი,
ვყივი ხელახლად!

ხოხობი.

შანტეკლერ!

შანტეკლერი.

მერე,
რომ დამეფრქვევა სივარდისფერე
გათენებისა — მე ვარ შემკრთალი...
რომ მე—მე რა ვარ? რაღაც მამალი...
მზე კი ამომყავს სიბნელიდანა!

ხოხობი.

მაშ საიდუმლო ეგ არის განა?

შანტეკლერი.

მუდამ შიში მაქვს, რომ უჩემოდა
ძილს სამუდამოდ მიეცემოდა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აღმოსავლეთი!.. რაც გინდ რომ იყოს,
მე არ ვიძახი მისთვის ყიყლიყოს,
რომ მოველოდე რაიმე ქებას,—
მე ნათელს ვეძებ, არა—დიდებას!
ყივილი ჩემთვის—ხმალია, რჯული,
რითაც მე ვიბრძვი და მიცემს გული.
შანტეკლერი ვარ, მე ნათლად ვყივი,
რომ ნათელი ვშვა, შუქი და სხივი.

ხოხობი.

გაგიჟდი?! ნუ თუ ეს ძალა არის...

შანტეკლერი.

გამშლელი ვარდის, თვალის, ფანჯარის,
სულისა... დიაღ, მე მაქვს ეს ძალა!
და თუ ბურუსი გადაიშალა,
სჩანს რომ იმ დილას ჩემი ყიყლიყო
ალბად ყოველ შნოს მოკლებულ იყო.

ხოხობი.

დღისით რომ ჰყივი?

შანტეკლერი.

სავარჯიშებლად...
ან ფიცსა ვაძლევ დასამშვიდებლად
გუთანს, ნამგალსა, ნაძვსა და თხმელას,
რომ გავაღვიძებ ცისკარზე ყველას.

ხოხობი.

შენ ვინ გაღვიძებს?

შანტეკლერი.

მე—მხოლოდ შიში,
არ მომივიდეს რამ იაღლიში.

ხოხობი.

მაშ მართლა გჯერა, რომ ეს ქვეყანა
სავსეა შენი ყივილით განა?

შანტეკლერი.

კარგად არ მესმის—რაა ქვეყანა?!
მე ვყივი მხოლოდ და ჩემისთანა
მინდა, რომ ყველგან იყოს მამალი,
რომ შეასრულოს მან წმინდა ვალი
წინაშე თვისი სამშობლო მხარის...
შანტეკლერობაც სწორედ ეგ არის!

გ. გვაზავა.

ᲐᲚᲬᲓᲒᲐ!

—:—

I

განთიადია: ცისა კაბადონს
შავ-ბნელი მწუხრი გადასწოლია;
და ღრუბელთ-კრებულს არე, მიდამო,
წყვდიადის ქვეშე ჩაუქოლია...

სდუმს თვით სამყარო, სდუმს ოკიანე,
გრგვინვა ტალღისა მიყუჩებულა;
და მთათა შორის ქარი მგმინავი
სადღაც ღელეში დაფიქრებულა.

—:—

II

უცბად იელვა: და შავსა ღრუბლებს
მკერდი განუპო ცეცხლის ისარმა,
მეხი გავარდა, შთაინთქა უფსკრულს
და მას ხმა მოსცა გრგვინვით მთა-ბარმა.

—:—

ნელ-ნელ აღმოხდა მთვარე პირ-ბადრი:
სალამი უძღვნა მკრთოლვარე ვარსკვლავს,
ძირს ჩამოეშვა სვეტი სინათლის
და ზედ დაეყრდო მოძღვრისა საფლავს!...

—:—

ანგელოზთ გუნდმა იწყო ღაღადი,
ცაში ჩამოჰკრეს ცისკრისა ზარი,
და ხმა გაისმა კიდით კიდემდე
„აღსდგაო მკვდრეთით ქრისტე მოძღვარი“.

—:—

აღმოსავლეთმა ცეცხლის ფრად გაჰკრა,
მზემ სხივი სტყორცნა მთა-ბარს ტრფიალით;
იუდა შეჰკრთა და სალნი კლდენი
გადაიარა ძრწოლვა-კანკალით!..

—:—

ამოეფარა ჯოჯოხეთის ფსკერს
სატანათ გუნდი თავ-ზარ-დასხმული;
აწ აღარ დაჰქრის შავ-ბნელის სახით
სულის მქენჯნავი ბოროტი სული...

—:—

ბულბულმა იწყო სტვენა წალკოტში,
სოფელს მოჰფინა გრძნობის ხმა მტკბარი
და შეუერთა სოფლისა ძახილს,
„აღსდგა მოძღვარი, აღსდგა მოძღვარი“!...

ს. ფაშალიშვილი.

ᲜᲣᲪᲐᲚ ᲮᲐᲜᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐ.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება*)

IV

—:—

ქვათენთის ციხის მიწასთან გასწორების შემდეგ ნუცალ-ხანი უმალვე აიყარა და შეუდგა ჩაყმის ხევის რბევას, ხალხი შეხიზნული იყო ციხე-სი-

*) იხ. „ᲔᲠᲘ“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრეებში. ისე რომ სოფლებში არც ერთი ადამიანი არ მოიპოვებოდა. ციხეების აღებას ერიდებოდა ნუკალი, რადგანაც ბევრ მსხვერპლს თხოულობდა.

სოფელ **ჯვარბოსლის** მიწასთან გასწორების შემდეგ, ნუკალ-ხანმა გაგზავნა მურთაზი სამი ათასი ჯარის კაცით სოფელ წაროს გასანადგურებლად და თვითონ-კი ნაყაივეჩოზე გადავიდა პირიქით თუშეთში, რომ აელო სოფელი ფარსმა, გირევი და დაბანაკებულიყო გირევის ვაკეზე.

სოფელი წარო განთქმული იყო იმ დროს, როგორც თავის მცხოვრებლების სიმრავლით, ისე მტრისათვის მიუდგომლობითაც. ძლიერ დაკიდებულ მთის კალთაზე აშენებული, ვიწრო ორღობეებიანი, სათოფურებით, პიტალო სიპის ქვით აგებული სახლებით მრისხანედ გადაჰყურებდა წარო არე-მარეს. ორ მხრივ ჩაუდიოდა ღრმა ხევები, სადაც გაშმაგებულად ღრიალებდნენ მდინარეები. მტერს უფრო ადვილად შეეძლო მისვლა სოფელში აღმოსავლეთის ᲮᲮრიდან და სწორედ ამ საᲨᲘᲨ ალაგას იდგა სამ-სართულიანი ხუცის ციხე, რომელიც გადაჰყურებდა ძირს თუშეთის ალაზანს. ხუცის ციხე განთქმული იყო მთელ თუშეთში თავის სიმაგრით. გაჭირების დროს ამ ციხეში იფარავდნენ თავს წაროელები და აქედან უმასპინძლდებოდნენ მტერს.

მურთაზიც ამ აღმოსავლეთის მხრივ მიადგა წაროს. ხალხი ჩაიკეტა ციხე-სიმაგრეებში და საომრად მოემზადა. მურთაზმა ერთი ნაწილი ჯარისა დააყენა ხუცის ციხის პირდაპირ და მეორე-კი შეურია სოფელს. ვიწრო და მიხლართ-მოხლართულ წაროს ორღობეებში დატრიალდა ცეცხლის ალი. სეტყვასავით გამოდიოდა სათოფურებიდან ტყვია და უწყალოდ იჟლიტებოდნენ ლეკები. მაგრამ დაღესტნის შვილები არ შედრკნენ და წინ-და-წინ მიიწეოდნენ, რაც დასაწველი იყო, ცეცხლს აძლევდნენ. ცეცხლის გუგუნი, ტკაცა-ტკუცი, თოფის გრიალი ᲩᲐ ხალხის გაშმაგებული ყიჟინა— ყველა ეს საზარელ სანახაობას, ჯოჯოხეთს წარმოადგენდა.... ცეცხლის და თოფის წამლის ბოლისაგან დაბნელდა იქაურობა. ამ სიბნელეში ებრძოდა სიცოცხლე სიკვდილს, იღვრებოდა სისხლი და იკენჭებოდა სოფელი მკვდრებით. ცეცხლისაგან და მის ბოლისაგან შეწუხებული წაროელები გამოდიოდნენ გადამწვარ სახლებიდან და გაშმაგებულ ბრძოლაში ეძებდნენ სიკვდილს. ყველა, ვისაც-კი შეეძლო იარაღის ტარება, განურჩევლად, ქუდოსანი თუ მანდილოსანი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იცავდა თავის სახლის კერას და მის დაცვაში ლევდა სულს...

წარო განადგურდა. შეუბრალებელმა მტერმა ქვა-ქვაზე აღარ დაანარჩუნა. სახლებს მისცა ნაღმი და მიანგრ-მოანგრია. ნანგრევები მორწყო პატრონების სისხლით. გადარჩა რამდენიმე უფრო მიუდგომელ ალაგას მდგარი სახლი. ბევრს ეცადნენ ლეკები, რომ ეს სახლებიც აელოთ, მაგრამ ვერა და ვერ მიიტანეს ცეცხლის სანგალი.

მურთაზის ბძანებით ლეკებმა დაანებეს სახლებს თავი და შეუდგნენ ციხის აღებას. რამდენჯერმე ეცადა მურთაზი მიეტანა შეშის სანგალი, მაგრამ ყოველთვის ძვირად უჯდებოდა წადილი. დაიწყებდნენ სანგლის მიტანას თუ არა, ასტყდებოდა ციხიდან ცეცხლი და როგორც ბალახს, სცელავდა მტერს.

ჯავრისაგან გაბრაზებულმა მურთაზმა, არ იცოდა, რა ექნა. დღე-ნახევარი გავიდა, რაც მიადგა ციხეს და ვერაფერი-კი ვერ დააკლო. მისი თავმოყვარეობა და სახელი ილახებოდა. როგორ?! ხანმა გამოგზავნა იგი, ამ ერთად ერთი ციხის ასაღებად და ისიც ვერ შესძლო?! სირცხვილი იყო მისთვის როგორც ხანის, ისე მთელი ჯარის და ავარიის წინაშე!...

— ქანქანა გასთხარეთ ციხის საძირკვლამდინ და ნაღბი მიეცით! უბრძანა მხედართ-მთავარმა ჯარის კაცებს.

— ქანქანის გათხრა შეუძლებელია, უთხრეს მურთაზს, — ადგილი თითქმის პიტალო ქვიანია. ორ-სამ დღესაც ვერ გავთხრით.

— წყლით საიდან სარგებლობენ მეციხოვნეები? ჰკითხა მურთაზმა.

— ალაზნიდან.

— როგორ ეზიდებიან იმ სირღმიდან წყალს?

-- ციხიდან მიწის ქვეშ თხრილი ჩაუდისთ ხევში.

— განა წყლის ზიდვა გაღმიდან არ შეიძლება, რომ მოვასპობინოთ?

-- გავსინჯეთ, ბევრიც ვათვალიერეთ, მაგრამ არ შეიძლება. წყლის მზიდავი არ სჩნდება, დაფარულია.

— მაშ მეტი გზა არ არის, ქანქანა უნდა გავიყვანოთ, სთქვა მხედართ-მთავარმა და მის თვალებში გესლის და შხამის ელვამ გაირბინა,—დაბნელდება თუ არა უნდა შევუდგეთ. სამი დღე მოგვიხდება, თუ მეტი, მაინც უნდა გავიყვანოთ. ციხის აუღებლობა-კი არ შეიძლება.

დაღამდა. ღამის წყვდიადმა დაჰფარა ხუცის ციხე და მისი არე-მარე. მურთაზმა დააყენა ღამის დარაჯები და გასცა ბძანება, რომ შედგომოდნენ ქანქანის გათხრას. მთელი ღამე არ შეწყვეტილა მუშაობა. ადგილი მართლაც ისეთი ქვიანი აღმოჩნდა, რომ მთელ ღამის განმამავლობაში რამდენიმე ადლი მეტი ვერ გასჭრეს.

გათენდა.

— სანამ ქანქანას გავიყვანთ, ის დანარჩენი სახლებიც უნდა როგორმე გავანადგუროთ. სთქვა მურთაზმა და მიუსია ჯარი, მაგრამ როგოც ზემოდ იყო ნათქვამი, ის დანარჩენი რამდენიმე სახლი ისეთ მიუდგომელ ალაგზე იდგა, რომ მათი აღება ისე ადვილი არ იყო, ნამეტნავად იმ იარაღით, რა იარაღიც იყო იმ დროს. რამდენჯერმე მიიტანეს

იერიში ლეკებმა, მაგრამ ვერას ხდებოდა მათი გაშ-მაგებული მამაცობა.

შუადღე იქნებოდა, როდესაც მურთაზის ბანაკში მოაგდო გაოფლიანებული ცხენი ერთმა ლეკმა. მხედარი მყისვე ჩამოხტა ცხენიდან და წარუდგა მურთაზს.

— სელიამ ალეიქუმ, ჩვენო სახელოვანო მურთაზო! მიესალმა მხედარი მხედართ-მთავარს.

— ალეიქუმ სელიამ, ხანისაგან იქნები გამოგზავნილი, უთხრა მურთაზმა,— როგორ ბძანდება, ან საქმე როგორ მიდის?

— დიდებული ნუცალ-ხანის ხმალი ყოველთვის გამარჯვებულია, აღფრთოვანებით უპასუხა ლეკმა, და ეხლაც, მადლობა ალლაჰს, ძლევა-მოსილია.

— კეთილი.

— სალამი დამაბარა შენთან, განაგრძო მცირე დაფიქრების შემდეგ ლეკმა,— და დამაბარა ისაც, რომ უმალვე აჰყარო ჯარი და ფარსმაში შეუერთდე ხანს.

— რა, რამე ხიფათი ხომ არ მოელის ხანს? მოუთბენლად ჰკითხა ლეკს მხედარმთ-ავარმა.

— სოფელი გავანადგურეთ, სთქვა ლეკმა,— მაგრამ სამი ციხე ჯერ-ჯერობით ვერ ავიღეთ. ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, მაგრამ ვერა გავაწყეთ რა. ძალიან მაგარი ციხეებია, დაბოლოვა შიკრიკმა,—და თავგანწირულადაც იცავენ თუშები.

მურთაზი დუმილს მიეცა.

— არ იცი რისთვის მიბრძანებს ხანი? რამდენიმე ხანის შემდეგ ჰკითხა მხედართ-მთავარმა, და მისი პატარა, ღრმად ჩაცვივნული თვალები მიაშტერდნენ ლეკს.

— რა მოგახსენო, უთხრა ლეკმა, — ხანს ვგონებ ეშინიან, რომ აქა-იქა ციხეებიდან არ გამოვიდნენ თუშები და შეერთებულის ძალით მოულოდნელად თავს არ დაგეცნენ. ცოტა ჯარი გყავს და სიშორის გამო ფარსმიდან იმ დროზე მოშველებაც ძნელია.

— ჭეშმარიტია, სთქვა მხედართ მთავარმა,— მიზეზი ეგ იქნება. საზოგადოდ ჯარის დანაწილება საშიშია. თუმცა, ამპარტავნად დაუმატა მურთაზმა, — თუშები ვერას გაჰბედავენ ჩემზე მოსვლას, ჩემთან გულ-და-გულ ბრძოლას...

მურთაზმა გასცა ბრძანება, რომ ბრძოლა შეეწყვიტათ. იმედ-გაცრუებული, გაბრაზებული ლეკები გავიდნენ წაროდან, გადალახეს ნაყაიეროს მთა და ფარსმაში შეუერთდნენ ნუცალის ჯარს.

შეერთებულ ძალით უფრო თამამად მიიტანეს იერიში ლეკებმა ფარსმის სამ ციხეზე, მაგრამ ამაო იყო მათი გაშმაგებული გულოვნობა.

— ქანქანის გაყვანა არ სცადეთ? ჰკითხა ხანს მურთაზმა.

— იმ ორ ციხის ქვეშ გაყვანა თითქმის შეუძლებელია, სთქვა ავარიის მბრძანებელმა, — ალაგი უხერხოა და ამ წინა მიწის ქვეშ-კი გუშინ დაიწყეს, ხვალ დილისთვის უთუოდ მოარჩენენ.

— ძალიან გვაზიანებენ ეს დაწყეულილი ციხეები, უთხრა ხანს მურთაზმა. ბევრი ვეცადეთ, რომ აგველო წაროს ციხე, მაგრამ ვერა გავაწყეთ რა... მეომრებიც ბევრი დაგვიხოცეს.

სოფელი ხომ გაანადგურეთ?

— როგორ არა, გავანადგურეთ. მხოლოდ რამდენიმე ერთ მიუდგომელ დაკიდულ ფერდოზე მდგარი სახლი გადაგვრჩა.

— ზარალი დიდი გვაქვს, ნაღვლიანად წარმოსთქო რამდენიმე დუმილის შემდეგ ნუცალ-ხანმა, —თუ თითო ციხეს ამოდენა ხალხი ვუმსხვერპლეთ, ბოლოს ჩვენ ჯარი აღარ დაგვრჩება. რომ მცოდნოდა, რომ თუშები ამისთანა წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ, მეტ ჯარს მოვიყვანდი.

— მაშ სხვა რა ღონისძიება ვიხმაროთ ამ თუშების დასამორჩილებლად, სთქვა მურთაზმა,— მეტი წილი ხალხისა ციხე-სიმაგრეებში არის შეხიზნული.

— როგორც გითხარი ხვალ დილისთვის ქანქანას გაიყვანენ წინა ციხის ძირს. უთხრა ნუცალმა,—მივცეთ ნაღბი და თუ მაინცა და მაინც ვერ ავიღეთ, დავანარჩენოთ აქ რამდენიმე ჯარი და დანარჩენით დავბანაკდეთ სოფელ გირევის ვაკეზე, იქიდან შეუსიოთ ჯარი აქა-იქა სოფლებს, გავანადგუროთ და გადავწვათ. გადავწვათ რაც რამ ჭირნახული აბადიათ. გავუშვათ თარეში აქა-იქა მთებზე ცხვრის ასაღებად. დეე ისხდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში, დაასრულა ავარიის ხანმა,—და გადაჰყურონ გადამწვარ და გაოხრებულ თავიანთ ქვეყანას. მერე როდემდისინ?!

გათენდა მეორე დღე. ამოვიდა მზე და ისევ ისე მხიარულად გაანათა პირიქით თუშეთი, და მისი თოვლიან-ყინულიანი ქედი. მოჰხვდა პირველი სხივი ფარსმის წინა ციხეს და მის საძირკველის ქვეშიდან იგრგვინა ნაღბმა. ციხეს შეერყა ტანი და ერთ მის კედელს ძირი გამოენგრა. ყიჟინით მიიტანეს იერიში გახარებულმა ლეკებმა; წინ მიუძღოდათ მედროშე. გავარდა ციხიდან პირველი თოფი. ტყვიამ გადატეხა დროშის ჯოხი და დროშასთან ერთად გაენთხა მიწას ციხის წინ თვით მედროშეც...*) ეს თოფი იყო ნასროლი კახოს თინასაგან, რომელსაც ჩეეცო ვაჟკაცის ტანისამოსი, აესხა იარაღი და ვაჟკაცებთან ერთად მისჯდომოდა სათოფურეს.

სიხარულის ყიჟინა დასცეს თუშებმაც რა დაინახეს მიწაზე გაშხლართული მედროშე და გატეხილი მისი დროშა. ტყვიით მტრის დროშის გადატეხა ნიშნავდა, თუშების რწმუნებით, იმას, რომ გამარჯვება ბოლოს თუშებს დარჩებოდათ. ამ ნიშანმა

*) თუშების გადმოცემით.

მისცა იმედი, უფრო გაამხნევა და გააგმირა ციხის მეომრების გული და სული....

მედროშის მოკვლით უკან არ დაიწიეს ლეკებმა: პირიქით უფრო მედგრად მიიწიეს ციხისაკენ. კახოს თინას თოფს მიჰყვა ციხის ყველა სათოფურეებიდან გრიალი. უწყალოდ იხოცებოდნენ ლეკები, მაგრამ მაინც გულოვნად მივიდნენ ციხის გამონგრეულზე. დააპირეს შესვლა ციხეში, მაგრამ გამონანგრევში დაუხვდნენ მეციხოვნენი. ასტყდა საშინელი ხმლის და ხანჯლის ტრიალი. კარგად იცოდნენ თუშებმა, თუ რა ბოლო მოსდევდა ლეკების ციხეში შესვლას. ამისათვის შექუჩდნენ იმ გამონგრეულ ალაგას და გაშმაგებულად იცავდნენ შესავალს.

ორივე მხარე მედგრად იბრძოდა, ლეკები ცდილობდნენ, რომ როგორმე შესულიყვნენ ციხეში, ამოეხოცნათ მეციხოვნენი, მიეცათ ციხისათვის ცეცხლი და მათ თავს ზარი დაეცათ ორ დანარჩენ ციხესაც. მხოლოდ თუშები იცავდნენ თავიანთ კერას, თავიანთ ცოლშვილს, მოხუც დაუძლურებულ დედ-მამას, თავიანთ საყვარელ მამულს, მის დიდებას და თავისუფლებას... და ამისათვის, რასაკვირველია, რომ უფრო თამამად უხვდებოდნენ სიკვდილს, უფრო გულამღვრეულად, გაშმაგებულად ეკვეთებოდნენ მტერს... ყოველ ციხის დამცველს ჩალად არ მიაჩნდა იმ დროს სიკვდილი. რა იყო მისთვის იმ დროს სიკვდილი, როდესაც უკან-შიგნით ციხეში მისი ცოლ-შვილი. მოხუცი დედ-მამა უმზერდა მას, უმზერდა, როგორც იმედს, როგორც თავის მფარველს?!.. უნდა ეყურებინა ვაჟკაცს, როგორ შევიდოდნენ ლეკები ციხეში და სიცილ-ხარხარით, უშვერი სიტყვებით გამორეკავდნენ, როგორც ნახირს და სამარცხვინოდ წარუდგენდნენ ნუცალ-ხანს? არა... ამისთანა სამარცხვინო სიცოცხლე მას არ უნდოდა და არც შეეძლო აეხილა თვალები სამზეოს. ჯიშათაც არ მოსდევდა მას იმისთანა სიცოცხლე... მას დაჰყურებდნენ მისი წინაპრების სისხლით მორწყული, საფლავებით მოკენჭილ მშობლიური მთები, მათი ამწვანებულ კალთები და კლდე-ღრეები!...

მედგარი იყო ბრძოლა ციხის გამონანგრევთან. ერთმა ლეკმაც ვერ გადადგა ნაბიჯი შიგნითკენ, სანამ ერთი უკანასკნელი მეციხოვნე ვაჟკაცთაგანს პირში სული ედგა. მტრის მახვილით განგმირული დავარდა ეს უკანასკნელიც და გალსღებულ მტერს თავისუფალი გზა მიეცა ციხეში შესასვლელად, კახოს თინამაც სხვა ვაჟკაცებთან ერთად დალია სული სასიკვდილო ბრძოლაში.

გამხეცებული მტერი შევიდა ციხეში და დაინახა მანდილოსნები და ბავშვები თურთ თუ არა, თამამად მივიდა დააპირა ნახირსავით გამორეკა ციხიდან. მაგრამ მოტყუვდა. აქაც ვერ გადარჩა უსისხლოდ. სიკვდილმა აქაც გაშალა თავის მძლავრი ფრთები. იძრეს მანდილოსნებმა ხანჯლები და გაშმაგებული ეკვეთნენ ლეკებს, მაგრამ ბევრ ხანს ვერ გასტანა. რამდენიმე დაჭრილ-დაჩეხილი მანდილოსანი და მტირალი ბავშვები ჩაუვარდნენ მტერს ცოცხალნი, დანარჩენებმა-კი იქვე ჰპოვეს ცივი სამარე. მუჯლუგუნის კვრით, ცემით და თრევით გაიყვანეს ლეკებმა ტყვეები და წარუდგენეს ნუცალ-ხანს.

— რად გინდათ, რა თავში ინლით, გაუწყრა თავის მეომრებს ხანი, გაუშვით, საითაც უნდათ, წავიდნენ.

ციხეს ცეცხლი მისცეს ლეკებმა და რაც დასაწველი იყო დახოცილ გვამებთან ერთად ნაცარფერფლად გარდაიქცა. დარჩნენ მხოლოდ ცეცხლის ალისაგან გაშავებული, ჩარდახ ჩამოქცეული კედლები...

დანარჩენი ორი ციხე ვერ აიღო ნუცალმა, სოფელი-კი მიანგრ-მოანგრია და ქვა-ქვაზე აღარ დაანარჩუნა. ნუცალმა ფარსმაში ჩააყენა რამდენიმე ასი კაცი, რომ თვალ-ყური დ ეჭირათ იმ გადარჩენილ ორ ციხეზე და დანარჩენ ჯარით გადავიდა სოფელ გირევში და დაბანაკდა მის გაშლილ ფართო ვაკეზე.

გირევიდან ნუცალ ხანმა შეუსია ჯარები ახლო-მახლო სოფლებს, ხოლო ციხე-სიმაგრეებისათვის ხელი არ უნდა ეხლოთ. რამდენიმე სოფელი მიწასთან გასწორდა. თუშები მაინც თავს არ უხრიდნენ ავარიის მბრძანებელს. ჯავრისაგან არ იცოდა რა ექნა ნუცალს. დრო გადიოდა. ერთ დილას გასცა ბრძანება ხანმა:

— როგორც ვხედავ, თუშები ქედს არ გვიხრიან. მაშ დეე იღვაროს სისხლი... ხოცეთ, ჟლიტეთ, ვინც ურჩობდეს; ნუ დაინდობთ ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ქუდოსანს და ნურც მანდილოსანს!... სოფლები გაანადგურეთ, ქონება ცეცხლს მიეცით, გაუშვით თარეში მთებზე, ამოხოცეთ მწყემსები და მათი ცხვარი წამორეკეთ!..

ლეკებიც მუყაითად ასრულებდნენ თავიანთ ბატონის ბრძანებას. დადიოდნენ და თარეშობდნენ აქა-იქა მთებზე, ჰხოცავდნენ მწყემსებს და ცხვარი წამოუდიოდათ ბანაკში.

ბოლოს და ბოლოს შეწუხდა ქვეყანა. რამდენიმე აშენებული სოფელი მიწასთან გასწორდა. მისი მცხოვრებნი ამოწყდნენ უთანასწორო სასიკვდილო ბრძოლაში და მით ჰპოვეს სამარე მამა-პაპის კერასთან, მხოლოდ მიწის მაგივრად მათ დაეხურათ თავიანთივე სახლების ნანგრევები!... აქა-იქა მთებზე სცურავდნენ თავიანთივე სისხლში ცხვრებსავით თავგანწირული წყემსები. მშობლების და თანამოძმეების გლოვის ნაცვლად თავს დაჰყეფდნენ მათ ლეშით დამძღარნი, გალაღებულნი სვავ-ყორნები. მათი ერთგული დაობლებული ქოფაკები წამოსკუპებულიყვნენ აქა-იქა მთის ქუდურო-გორაკებზე და საცოდავად გულ-მოსაკლავად დაჰღმუოდნენ. მათ ღმუილის ხმას აძლევდნენ დაღვრემილი, გულ-ჩათხრობილი შავი კლდეები და უერთდებოდა მათ ქვეშ თვალ-ჩაუწვდენელ უფსკრულში მჩქეფარე წყლების გაშმაგებული ღრიალი.

თუშეთის მდუღარე სიცოცხლის მდინარე თითქო შეწყვეტილიყო და სიკვდილი გამეფებულიყო... შეწყდა ხმაურობა სოფლებში. მიჩუმდა და მიყუჩდა არე-მარე. აღარსად სჩანდა მთებზე თეთრად გაშლილი ცხვრის ფარა და აღარ ისმოდა „ვით გლოვას ზარი“ მწყემსების სალამურის ტკბილი ღუღუნი...

ივ. ბუქურაული.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილება **„პროგრესის“** სტამბისა, სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი